

# 1) სამართლის ცნება

2500 წელია რაც იურისპუდენცია ცდილობს ჩამოაყალიბოს სამართლის ცნება, თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ეს დაკავშირებულია გარკვეულ ობიექტურ სირთულესთან. ნივთს აზრით, შეიძლება მხოლოდ იმის დეფინიცია რასაც ისტორია არ აქვს, სამართალი კი ისტორიის გარეშე არ არსებობს. სამართალი არის **კულტურული და ისტორიული** მოვლენა. სამართალი იცვლება დროსთან და გარემოებებთან ერთად, ე.ი. იცვლება მისი ცნებაც და შინაარსიც.

სამართლის დეფინიციას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, ის უბრალოდ გვჭირდება იმისათვის, რომ იგი გავმიჯნოთ სხვა იურიდიული მოვლენებისაგან. სამართლის ცნების ჩამოყალიბება იურისტების საქმე არ არის, ეს უფრო ფილოსოფიური საკითხია.

სამართლის ცნების შესახებ არსებული შეხედულებები შეგვიძლია დავყოთ 2 ჯგუფად:

- 1) შეხედულებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს სამართლის შინაარსობრივ, ღირებულებით ასპექტზე.
- 2) შეხედულებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს სამართლის ფორმალურ ნიშნებზე.

**შინაარსობრივი ცნების** (ულპიანე, კანტი...) თანახმად, სამართალი შესასრულებლად სავალდებულოა იმიტომ რომ:

- ა) ადგენს „კარგ“ და „მისაღებ“ ქცევის წესს.
- ბ) გამომდინარეობს ბუნებითი ან გონითი კანონიდან
- გ) თანაბრად ზღუდავს თითოეულის თავისუფლებას.

**ფორმალური ცნების** (კელზენი, იერინგი...) თანახმად, იურიდიულ მოთხოვნათა სავალდებულობას განსაზღვრავს ფორმა და არა შინაარსი. იურიდიული ხასიათისაა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მოთხოვნა, რომელიც მიღებულია სათანადო წესების დაცვით. (მიუხედავად შინაარსისა). განხილული ასპექტების გათვალისწინებით გამოყოფენ **პოზიტიურ და ბუნებით-სამართლებრივ** ცნებებს.

**ბუნებითი სამართალი (Ius naturale)** („კარგი და ცუდი“ ქცევის შეფასების მაშტაბი) და **პოზიტიური სამართალი (ius positivum)** (სოციალური ნორმების ერთობლიობა რომლებიც აწესრიგებს ადამიანთა ქცევას საზოგადოებაში. ვიწრო გაგებით სახელმწიფოს დადგენილ სამართალს, ფართო გაგებით საზოგადოებაში მოქმედ ყველა ნორმას ჩვეულებითი სამართლის ჩათვლით.)

**პოზიტიური ცნები** მიხედვით სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა. აქ მკაცრად არის გამიჯნული სამართალი და მორალი, მორალურობა არ განსაზღვრავს არც სამართლის მოქმედებას და არც მის სავალდებულობას. იურიდიული პოზიტივიზმის მიხედვით სამართალს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ა) ნორმა დადგენილია სათანადო უფლებამოსილების მქონე პოლიტიკური და სახელმწიფო ორგანოს მიერ.
- ბ) სამართლის ნორმა სოციალურად ქმედითია, რამდენადაც მას ნორმის ადრესატები

ნებაყოფლობით ან იძულებით ასრულებენ. (შესრულება გარანტირებულია იძულებითი აპარატით)

გ) სამართლის ნორმას, როგორც ქცევის სავალდებულო ნორმას, აღიარებენ როგორც სახელმწიფო ისე მოქალაქეები. საზოგადოებაში აღიარებული მორალური ნორმაც სამართალს განეკუთვნება. პოზიტივიზმი განავითარა სამართლის ნორმატიული თეორიის ფუძემდებელმა ჯონ ოსტინმა, შემდეგ კი ჰანს კელზენმა.

კელზენი ავითარებდა არსისა და ჯერარსის გამიჯვნის, სახელმწიფოსა და მართლწესრიგის იდენტურობის თეზისებს. იგი ესწრაფვოდა სამართლის განთავისუფლებას სხვა „არაიურიდიული მინარევებისგან“. კელზენის „წმინდა თეორია“ ცდილობს გაარკვიოს რა არის სამართალი და არა როგორი უნდა იყოს სამართალი. სამართალი არის იძულებითი წესრიგი, ხოლო სამართლის პრობლემა არის წესრიგის პრობლემა. სამართლის თეორია არის პოზიტიური სამართლის მქსიმალურად ზუსტი, სტრუქტურული ანალიზი, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური და ღირებულებითი შეფასებებისაგან. სამართლის მოქმედების საფუძველია **ძირითადი ნორმა**. ნორმის შინაარსს მთლიანად და სუბიექტურად განსაზღვრავს კანონმდებელი. რამდენადაც ნორმას საყოველთაო სახე არ აქვს იგი არ შეიძლება იყოს მეცნიერული კვლევის ობიექტი. კელზენი უპირისპირდებოდა ბუნებითი სამართლისა და სამართლის სოციოლოგიურ სკოლას.

პოზიტიურმა ცნებამ კრიტიკა მიიღო და მის წინააღმდეგ ძირითადად გამოყენებული იყო თეზისები:

1) იურიდიული პოზიტივიზმი აღიარებს სამართალშემოქმედებაზე სახელმწიფოს სრულ და აბსოლუტურ მონოპოლიას, იგი ღიად ტოვებს სახელმწიფომდე არსებული სამართლის შესახებ (ბუნებითი სამართალი, ჩვეულებითი სამართალი)

2) იგი გვერდს უვლის სამართლიანობის საკითხს - სამართლიანია ის ნორმაც რომელიც ეწინააღმდეგება მორალს ან სამართლის ელემენტარულ პრინციპებს.

3) იგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მიერ სამართლის აღიარებას

მნიშვნელოვანი არგუმენტია ასევე ის ფაქტი რომ მართლწესრიგი მოიცავს არა მარტო პოზიტიურ სამართალს არამედ საყოველთაო მნიშვნელობის პრინციპებსაც, ეს უკანასკნელი კი პოზიტიური სამართლის გარეთაა.

**ბუნებითი სამართალი** მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ სავალდებულო ქცევის წესებსა და პრინციპებს. ბუნებითი სამართალი არსებითად მორალისა და სამართლიანობის იდენტურია. ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი. (ანთროპოლოგიური, რელიგიური და რაციონალური) პოზიტიური ნორმების გარდა სამართალი მოიცავს მორალის განსაზღვრულ პრინციპებს, სამართალი გაგებულია როგორც ნორმათა წესრიგი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მორალის პრინციპებს. რა თქმა უნდა, ბუნებითი სამართალიც იცვლება დროისა და საზოგადოების მიხედვით. მაგალითად, მონობა ადრე დასაშვები იყო, ახლა აღარ არის. ბუნებითი სამართლის პრინციპები უნდა დაიცვას კანონმდებელმაც ვინაიდან სამართალი უნდა იყოს სამართლიანი. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ადამიანის ღირსება, თავისუფლება, სიცოცხლის უფლება და ა.შ. სხვა შემთხვევაში ადამიანს აქვს უფლება

შეწინააღმდეგოს სახელმწიფოს. პოზიტიური სამართლის მსგავსად, ბუნებით სამართალსაც ჰყავს კრიტიკოსები. ბუნებითი სამართალი შეიძლება იყოს სუბიექტური. არ შეიძლება იგი დაეფუძნოს რელიგიას. კელზენის აზრით, ბუნებითი სამართალი არ გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდანაც. ვერ დავაფუძნებთ მას ასევე გონზე. შეუძლებელია ფაქტზე მსჯელობით გამომდინარეობდეს ნორმა. (არსიდან ჯერარსი) ბუნებითი სამართალი ღიად ტოვებს ასევე მისი მოქმედების საკითხს. დავუშვათ, ნორმა არ ესაბამება ბუნებით სამართალს? სამართლის ნორმა მაინც ინარჩუნებს იურიდიულად სავალდებულო ძალას იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ეწინააღმდეგება მორალს.

---

## 2) სამართლის ნიშნები

- 1) სამართალი ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების რეგულირების მიზნით.
- 2) სამართლის ნორმის, როგორც ქცევის ზოგადსავალდებულო წესის მოქმედება ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე
- 3) სამართალს ახასიათებს მოქმედების პრეტენზია
- 4) სამართლის ნორმა შეიძლება განხორციელდეს იძულებით.

სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით.

სამართალი ჯერარსული მოვლენაა. ნორმა მომავლისკენაა მიმართული და ამბობს „ეს ასე უნდა იყოს“. ნორმა ქმნის ვალდებულებას და ადრესატმა იგი უნდა შეასრულოს. სამართლის ნორმა ნორმატიულია (პრესკრიფციული), ხოლო ბუნების კანონი - დესკრიფციული (აღწერილობითი). ნორმატიული და დესკრიფციული კანონები ერთმანეთისგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

- 1) დესკრიფციული მსჯელობა შეიძლება იყოს ან ჭეშმარიტი ან მცდარი. ეს მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის, თუმცა რაც შეეხება სამართალს, აქ ვერ ვიტყვით იგი მცდარია თუ ჭეშმარიტი. შეგვიძლია ვთქვათ სასურველია, არასასურველი, სამართლიანი, უსამართლო და ა.შ, მაგრამ ვერ ვიტყვით იგი ჭეშმარიტია თუ მცდარი.
- 2) იურიდიული კანონი არ გამომდინარეობს ფაქტიდან, შეუძლებელია მივიღოთ არსიდან ჯერარსი. საბუნებისმეტყველო საგნები აკვირდებიან ბუნებას, ხოლო სამართალში პირიქით ხდება, კანონმდებელი თვითონ წყვეტს თუ რომელი კანონია სასურველი და ადგენს რომ „ეს ასე უნდა იყოს“
- 3) ბუნების კანონის უარყოფა შესაძლებელია, თუ მოხდება ამ კანონის საწინააღმდეგო მოვლენა, ამ შემთხვევაში იგი ახლებურად უნდა ჩამოყალიბდეს, ხოლო ჩვენს შემთხვევაში სამართლის ჯერარსული ნორმა ინარჩუნებს სავალდებულოობას მისი დარღვევის შემთხვევაშიც.

სამართლის ნორმის მოქმედება მხოლოდ ადამიანებზე ვრცელდება. წარსულში იყო შემთხვევები როდესაც ცხოველებს და უსულო საგნებს ასამართლებდნენ, მაგრამ დღეს სამართლის ნორმა ეხება ადამიანს. იგი მიმართულია გარეგანი ქცევისაკენ. ნორმას ნაკლებად აინტერესებს სამართლის მიმართ პირის შინაგანი დამოკიდებულება. პირის მოტივაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასჯელის განსაზღვრის დროს. სამართალი ასევე დაინტერესებულია იმაში რომ საზოგადოება ნებაყოფლობით ასრულებდეს მოთხოვნებს და არა იმიტომ რომ შეუსრულებლობის გამო დაისჯებიან. არაეფექტური იქნება ისეთი ნორმის ამოქმედება რომელსაც ეწინააღმდეგება საზოგადოება. სამართალი არის იძულებითი წესრიგი;

- 1) სამართლის ნორმის მოთხოვნა არ არის უბრალო სურვილი ან რეკომენდაცია - იგი არის სავალდებულოდ შესასრულებელი
- 2) ნორმა სავალდებულოა ჰეტერონომიულად, რამდენადაც განსაზღვრულია „სხვა“ გარეშე ინსტიტუტის მიერ. იძულების გარეშე სამართალი ვერ იქნება (ცეცხლი რომელიც ანათებს მაგრამ არ წვავს)

როგორც ვთქვით, იძულება სამართლის ერთ-ერთი ნიშანია. ნებაყოფლობითი დაცვა ხშირად იძულების თავიდან ასაცილებლად ხდება. ამავე დროს, იძულება არ არის სამართლის აუცილებელი ნიშანი. სამართალი მთავარია იყოს სამართლიანი. იძულებას გამორიცხავს საოჯახო სამართლის უმეტესი ნაწილი. იძულება, რა თქმა უნდა, ხორციელდება პროცედურული ფორმის დაცვით. (მოსამართლე ნეიტრალურია, მხარეებს აქვთ პროცესში მონაწილეობის უფლება, ხდება მტკიცებულებების შეგროვება და ა.შ.) ყველაფრიდან გამომდინარე სამართალი ვერ დაეფუძნება იძულებას.

სამართალი, ჩვეულებრივ, განიმარტება როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს სამართალი, კერძო პირს არ აქვს უფლება აუკრძალოს სხვას რაიმე. ამავე დროს, სამართალი არ წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შექმნილ სამართალს, იგი მის გარეთაც არსებობს. (ჩვეულებითი სამართალი, ბუნებითი სამართალი, საეკლესიო სამართალი)

სამართალს ახასიათებს **ლეგიტიმურობა (ფორმალური და მატერიალური) და ლეგალურობა**. იგი ლეგიტიმურია, რამდენადაც:

- 1) არის სავალდებულოდ შესასრულებელი
- 2) ეფუძნება ადრესატების რწმენას, რომ ნორმა ლეგიტიმურია და მაშასადამე შესასრულებლად სავალდებულო.

**ფორმალური ლეგიტიმურობა** - სამართალი დადგენილია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ, სათანადო პროცედურის დაცვით.

**მატერიალური** - სამართალი უნდა იყოს მართალი, სწორი

**ლეგალურობა** სახელმწიფო ხელისუფლების ფორმალურ ორგანიზაციული პრინციპია, ლეგალურია ხელისუფლება, რომლის საქმიანობაც ხორციელდება კანონის საფუძველზე. ლეგიტიმურობის ცნების სრულად განსაზღვრა შეუძლებელია.

ლეგიტიმურია ხელისუფლება რომელიც:

- 1) ეფუძნება მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას.

2) აღიარებს ხელისუფლების შეცვლის საყოველთაოდ აღიარებულ და დემოკრატიულ პროცედურებს

3) ხორციელდება თანამედროვე პოლიტიკური გაერთიანებების მიერ (არა კლანური და კასტური დაჯგუფებებისგან)

### 3) სამართლის ფუნქციები

სამართალი არის განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალება. სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მხოლოდ საზოგადოებაში მოქმედებს. სამართალი ითვალისწინებს სოციალური ცხოვრების კანონზომიერებებს, როდესაც, მაგალითად, ადგენს ქორწინების ასაკს, სამოქალაქო ქმედუნარიანობას და ა.შ. საზოგადოებაც დამოკიდებულია სამართალზე. ადამიანის მიერ დადგენილი სოციალური წესრიგირ ერთ-ერთი ფორმაა სამართალი. სამართალი აწესრიგებს ადამიანებს შორის ურთიერთობებს, მაგრამ არა რა თქმა უნდა ყველა სფეროში (მეგობრობა, სიყვარული, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა) სოციალურ წესრიგს სამართლის გარდა უზრუნველყოფენ სხვა ნორმატიული სისტემებიც (მორალი, ჩვეულება და სხვა) **{რეგულაციური ფუნქცია}**

სამართალი აყალიბებს სოციალური მართვის ნორმატიულ საფუძვლებს და ახორციელებს **ორგანიზაციულ ფუნქციას**. სამართალი ახორციელებს **სოციალური მართვის ფუნქციასაც** (გარკვეული მიმართულებით წარმართავს სუბიექტების ქცევას) იგი აწარმოებს **დაგეგმვისა და სოციალური პროგნოზირების ფუნქციას**. სამართალი არის სოციალური კონტროლის საშუალება. სამართლის **დაცვითი ფუნქცია** გამოიხატება სამართალდარღვევაზე სათანადო რეაქციის ფორმით. სამართალი სანქციებით ასრულებს **რეპრესიულ ფუნქციას**.

**უსაფრთხოებისა და სოციალური თანხმობის უზრუნველყოფა** სამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, იგი უზრუნველყოფს სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობას. სამართალი ასევე ასრულებს **სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას**, რამდენადაც საზოგადოებას უყალიბებს ერთიანობისა და სოლიდარობის განცდას. **იძულება** სამართლის სპეციფიკური ფუნქციაა. იძულება ახასიათებს სხვა სოციალურ ნორმებსაც (მორალი). განსხვავება არის რომ სამართლის იძულება ხდება სახელმწიფოს მიერ გარკვეული პროცედურების დაცვით, ხოლო მორალური იძულება ხდება საზოგადოების მიერ.

**წესრიგი** სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. წესრიგი უნდა იყოს ცვალებადი, ე.ი. ღია. წესრიგის ძირითადი ელემენტია ადამიანი. წესრიგი ადამიანს უნდა აძლევდეს განვითარების შესაძლებლობას, წესრიგი არსებობს ავტორიტარულ და დიქტატორულ ქვეყნებშიც, თუმცა ეს არ არის ჭეშმარიტი წესრიგი. სამართალი ასრულებს **სოციალური მშვიდობის ფუნქციას**. მართლწესრიგის ფუნქციაა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება. სამართალს ასევე აქვს **კონფლიქტის მოწესრიგების და მათი პრევენციის ფუნქცია**. ასევე აღსანიშნავია **სამართლებრივი უსაფრთხოება**, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო

ქცევას. სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის საჭიროა ნორმები იყოს ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებული. სამართალი უნდა იყოს **სტაბილური**, ვინაიდან კანონმდებლობის ხშირი შეცვლა ხელს შეუშლის ადამიანებს თავიანთი ქმედებების საზღვრების დადგენაში. საინტერესოა **კონსერვატორული როლი**, რაც გამოიხატება სტატუს კვოს დაცვით. (პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის უზრუნველყოფა) **{წესრიგის ფუნქცია}**

სამართლის **ანთროპოლოგიურ ფუნქციას** განსაზღვრავს ადამიანის არსება და მისი ეგზისტენციალური მოთხოვნილებები. სამართალი იცავს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ღირსებას. სამართლის **პერსონალური ფუნქცია** მოიცავს მართლწესრიგით დადგენილ პიროვნების სტატუსს. ეს ფუნქცია ეხება არა იზოლირებულ, არამედ სოციალურ ურთიერთობებში აქტიურად ჩართულ ინდივიდს. სამართალი იცავს პიროვნების ავტონომიას, ცხოვრების ინტიმურ სფეროებს. **თავისუფლება** სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ადამიანები არიან თავისუფალნი, თუმცა აქ არ იგულისხმება აბსოლუტური თავისუფლება, ვინაიდან მოქმედებისათვის გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოები არსებობს. აბსოლუტური თავისუფლება იქნებოდა ანარქიის მდგომარეობა. ე.ი. სამართალი ადგენს **ლიმიტირებულ** თავისუფლებას. სამართალმა თანამედროვე პერიოდში შეიძინა **ეკოლოგიური** ფუნქცია. სამართალი გარკვეულწილად ზღუდავს თანამედროვე თაობების თავისუფლებას მომავალი თაობების სასიცოცხლო სივრცის შენარჩუნების მიზნით.

#### 4) სამართლის ნორმა

სამართალი შედგება მხოლოდ და მხოლოდ ნორმებისაგან. სამართლის ნორმები მართლწესრიგის ელემენტარული ნაწილებია. მართლწესრიგი არის ნორმათა ერთობლიობა. ნორმა არის ენობრივი ფორმით მოცემული აზრობრივი სტრუქტურა. იგი არის **პრესკრიფციული**. სამართლის ნორმა მოითხოვს „ეს ასე უნდა იყოს“, ფაქტების აღწერა მას არ ეხება. სამართლის ნორმა განსხვავდება **დესკრიფციული** წინადადებებისაგან, რომელიც მხოლოდ ფაქტებს აღწერს. დესკრიფციული წინადადება ამბობს რაღაც მოხდა თუ არ მოხდა, ნორმა კი აყალიბებს ჯერარსს მომავლისკენ მიმართულ ნორმატიულ მოთხოვნას. დესკრიფციული წინადადება არკვევს მსჯელობა ჭეშმარიტია თუ მცდარი. ნორმა ადგენს იმას რაც უნდა იყოს, მის შინაარსს აყალიბებს ჯერარსი - სამართლის ნორმა არის **ჰიპოთეტური ჯერარსული წინადადება**. ნორმა ჰიპოთეტურია იმდენად, რამდენადაც იგი ორიენტირებულია მომავალზე, ხოლო მისი მოქმედება შეიძლება დადგეს ან არ დადგეს. ნორმა ადრესატს აძლევს ალტერნატივას (დაარღვიოს ან არ დაარღვიოს მოთხოვნა). სამართალი არ არის მხოლოდ ჯერარსული მსჯელობა, იგი ასევე ცდილობს დააკავშიროს ერთმანეთთან ჯერარსი და არსი. ნორმაში ხდება ფაქტობრივი შემადგენლობისა და იურიდიული შედეგის დაკავშირება. სამართლის ნორმა **იმპერატიულია**. ნორმა ადგენს რომ განსაზღვრული ქცევის მოდელი უნდა

განხორციელდეს ან არ უნდა განხორციელდეს. სავალდებულოა არ არის დამოკიდებული მოთხოვნის მართებულობაზე, ვინაიდან „მცდარი“ ნორმაც სავალდებულოა შესასრულებლად. მისი დაცვა ან დარღვევა არაფერს გვეუბნება ნორმის მართებულობის თუ მცდარობის შესახებ. დესკრიფციული წინადადება შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, ხოლო პრესკრიფციული ნორმა, ვერ იქნება ვერც ჭეშმარიტი ან მცდარი. ნორმა შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მიზანშეწონილი ან მიზანშეუწონელი, მაგრამ არა ჭეშმარიტი და მცდარი. ნორმა არის **ენობრივი ფორმით გამოხატული** ჯერარსული წინადადება. (თუმცა შესაძლებელია გამოხატული იყოს არაენობრივი ფორმითაც, ავტოსაგზაო ნიშნები) ნორმის შინაარსი ყველა შემთხვევაში გამოხატული უნდა იყოს ენობრივი ფორმით. ეს ეხება არა მარტო ნორმებს, არამედ იურიდიულ მოქმედებებსაც. (არსებობს კონკლუდენტური გარიგებაც, რომელიც მდუმარე ფორმით იდება, მაგ. ავტობუსში ასვლა)

არსებობს **სოციალური და ტექნიკური** ნორმები. სოციალური ნორმების სისტემა მოიცავს მორალს, ჩვეულებას, მოდას და სხვ. სოციალური ნორმა აწესრიგებს ურთიერთობას ინდივიდებს, ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფს შორის. სოციალური ნორმა შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესია, მისი დაცვა უზრუნველყოფილია სათანადო სანქციით.

ტექნიკური ნორმის ლეგალური დეფინია არ არის განსაზღვრული, თუმცა მას ახასიათებს:

- 1) არის წერილობითი დოკუმენტი ამა თუ იმ ამოცანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ.
- 2) ტექნიკური ნორმის შემუშავებაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (მეწარმეები, მომხმარებლები, გარემოს დაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენლები...)
- 3) ორიენტირებულია მაქსიმალურ კონსენსუსზე
- 4) მას ღებულობს განსაზღვრული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანო
- 5) საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია
- 6) ადგენს ზოგადი და მრავალჯერადი გამოყენების წესს.
- 7) იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვს
- 8) ეფუძნება მეცნიერების ტექნიკისა და პრაქტიკის გამოცდილებას

ტექნიკური ნორმა მოიცავს მომსახურების ტექნიკურ საფუძვლებს, ზომა წონის ერთეულებს, ნივთიერებათა ფიზიკურ ქიმიურ და ტექნოლოგიურ მახასიათებლებს, უსაფრთხოების ღონისძიებებს... მათ შეიძლება მიენიჭოთ ნორმატიული მნიშვნელობაც თუ ამის შესახებ მითითებულია სამართლის ნორმაში.

## სტრუქტურა

ნორმა შედგება 2 ნაწილისგან:

- 1) დესკრიფციული (ფაქტობრივი ურთიერთობა რომელიც ნებადართულია, აკრძალულია, ან მოთხოვნილია)
- 2) ნორმატიული ნაწილი (რომელიც ამბობს ეს ფაქტობრივი ურთიერთობა აკრძალულია, ნებადართულია თუ მოთხოვნილია)

სამართლის ნორმა ჩვეულებრივ მოცემულია **მოთხოვნის, აკრძალვის ან ნებართვის სახით.**

**მოთხოვნა** - მაგ. ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. სიტყვა „უნდა“ ხშირად გამოიყენება ასეთ შემთხვევაში.

**აკრძალვა** - ჩვეულებრივ გამოიხატება სიტყვით „აკრძალვა“ (საქართველოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია)

**ნებართვა** - (პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში)

ჩვეულებრივ იშვიათად გამოიყენება ნებართვის ფორმა, ვინაიდან ნებადართულის ის რაც აკრძალული არ არის. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს მხოლოდ კერძო სამართალში.

სახელმწიფო მხოლოდ კანონის მიხედვით მოქმედებს.

სამართლის ნორმა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან:

1) ფაქტობრივი შემადგენლობა

2) იურიდიული შედეგი

მაგალითის განხილვით, ადვილი გასაგებია თუ რომელია ფაქტობრივი შემადგენლობა. „ვინც ქურდობა ჩაიდინა, ის დაისჯება“ „ის დაისჯება“ არის იურიდიული შედეგი, ხოლო პირველი ნაწილი წარმოადგენს ფაქტობრივ შემადგენლობას.

სამართლის ნორმის სტრუქტურა გამოიხატება „თუ...მაშინ“ კონსტრუქციით. ფაქტობრივი შემადგენლობა შეიძლება იყოს **განსაზღვრული ან განუსაზღვრელი.**

განსაზღვრული არ მოითხოვს განმარტებას, მას მიეკუთვნება ზომა, წონა, რიცხვი. 18 წლის პირი ხდება ქმედუნარიანი. 18 არის

განსაზღვრული

განუსაზღვრელი მოითხოვს განმარტებას. განუსაზღვრელი თავის მხრივ შედგენილობით არის დესკრიფციული და ნორმატიული.

ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა შეიძლება იყოს **კუმულაციური ან/და ალტერნატიული.**

კუმულაციურის დროს შედეგის დადგომა დაკავშირებულია რამდენიმე პირობის ერთობლიობასთან (გამოიხატება „და“ კავშირით). ალტერნატიულის დროს მოიცავს ორ ან მეტ პირობას, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში დგება იურიდიული შედეგი. (გამოიხატება „ან“ კავშირით)

რაც შეეხება **სანქციებს. სანქცია შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური.** ძირითადად გამოიყენება ნეგატიური სანქცია, ხოლო პოზიტიური გამოიყენება როცა მართლზომიერი მოქმედების წახალისება ხდება. სანქცია შეიძლება იყოს **რეპრესიული**, (ანგარიშს უწევს დაზარალებულ მხარეს) **რესტიტუციული** (ნორმის დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა) და **პრევენციული**. (სამართალდარღვევის თავიდან აცილება)

სამართლის ნორმები შეიძლება დაიყოს **ნორმის ადრესატებისა და ნორმატიული მოქმედების ძალის** მიხედვით. ადრესატების მიხედვით იგი შეიძლება იყოს ინდივიდუალური (კონკრეტულად განსაზღვრული პირისაკენ) ან ზოგადი (ყველა).

ნორმა შეიძლება იყოს **უპირობო** (შესასრულებელია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე) და **განპირობებული**. (მოქმედებს მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას)

**დეფინიციური ნორმა** მოქმედებს მხოლოდ სხვა ნორმებთან კავშირში, ლეგალური

დეფინიციები, როგორც წესი გვხვდება კანონის ზოგად ნაწილში. ისინი გვეხმარებიან უკეთ



გავიგოთ კანონი.

## 5) სამართალი, ჩვეულება და მორალი

ჩვეულება ისევე როგორც სამართალი, ნორმატიულად არეგულირებს სოციალურ ურთიერთობებს. საერთო ნიშნები:

- 1) ნორმატიული ხასიათი
- 2) ჯერარსული წესრიგი
- 3) არეგულირებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს
- 4) ორივე ეხება ადამიანთა გარეგან ქცევას.

განმასხვავებელი ნიშნები:

- 1) სამართალს ადგენს სახელმწიფო, ჩვეულებას აყალიბებს სოციალური გარემო
- 2) ჩვეულება ეხება შედარებით ვიწრო წრეს, ხოლო სამართალუ ფართო სპექტრს მოიცავს
- 3) ჩვეულება ინდეფერენტულია ეთიკის მიმართ - ცუდი ჩვეულებაც ჩვეულებაა
- 4) ჩვეულება არ ხორციელდება სახელმწიფო იძულებით სამართლისაგან განსხვავებით. ჩვეულებას აქვს უფრო სოციალური სანქციები, (გაკიცხვა, იზოლაცია)
- 5) იურიდიული სანქციები წინასწარ განსაზღვრულია, რთულია სოციალური სანქციის წინასწარ განსაზღვრა.
- 6) ჩვეულებითი წესრიგი ყალიბდება ფაქტობრივი ურთიერთობების, ხოლო პოზიტიური კანონმდებლობა - სპეციალურად განსაზღვრული პროცედურების შედეგად
- 7) ჩვეულება მოქმედებს რადგან იგი ფაქტობრივად სრულდება, სამართალი მოქმედებს იმის დამოუკიდებლად სრულდება თუ არა იგი.
- 8) ჩვეულება ყალიბდება ქცევიდან, ხოლო სამართალი სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

სამართლისა და ჩვეულების მოქმედების სფეროც განსხვავდება. მართლწესრიგი და ჩვეულებითი წესრიგი ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. „ვარგი წესები“ გამტკიცებულია იურიდიულად. სოციალური სინამდვილის ცალკეული სფეროები შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ სამართლით (სატრანსპორტო წესები). არის საკითხები რაც ჩვეულებით, ზრდილობითა და წესიერებითაა მოწესრიგებული (ქორწილში, პანაშვიდზე ქცევის წესები). ძირითადად სამართალი და ჩვეულება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, თუმცა მათი კოლიზიის დროს გამოიყენება პოზიტიური სამართალი. ჩვეულება ისტორიულად წინ უსწრებდა სამართალს და მის მიმართ ინდეფერენტულია, თუმცა შესაძლებელია რომ გარკვეულ წილად მართლწესრიგის ნაწილს წარმოადგენდეს. ჩვეულება გულგრილია იმის მიმართ, თუ როგორი შინაგანი განწყობით იცავენ მას. ჩვეულებითი სამართალი შეიძლება აკრძალულიც იყოს, მაგ, იგი სისხლის სამართალში აკრძალულია.

**მორალი** არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა. განასხვავებენ მორალის, ეთიკისა და ზნეობის ცნებებს. ეთიკა ისეთივე კავშირშია მორალთან, როგორც სამართლის ფილოსოფია

სამართალთან. მორალს განმარტავენ როგორც შინაგან ვალდებულებას, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს. მორალური ნორმები ადამიანის სინდისისკენაა მიმართული. სინდისი ინდივიდუალურია. მორალი 2 სახისაა:

- 1) ინდივიდუალური
- 2) კონვენციონალური

**ინდივიდუალური** მორალი წამოიშობა ადამიანში ავტომატურად, ე.ი. ადამიანის საკუთარი ნებით განისაზღვრება.

**კონვენციონალური მორალი** ეფუძნება საზოგადოების მორალურ წარმოდგენებს. ადამიანთა უმეტესობა სწორედ კონვენციონალური მორალის გავლენით ცდილობს დაიცვას მორალური წესები. მორალის ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს აღზრდას, კულტურას, ტრადიციებს და ა.შ. საზოგადოებრივი მორალის მოთხოვნებს სახელმწიფომ ანგარიში უნდა გაუწიოს.

მორალი დროთა განმავლობაში იცვლება. (ჰომოსექსუალიზმის, აბორტის თემა)

მორალი სავალდებულოობის მიხედვით:

- 1) დაცვა ყოველშემთხვევაში სავალდებულოა (არ მოიტყუო)
- 2) არ არის სავალდებულო მაგრამ დასაცავად სასურველია (დაეხმარე გაჭირვებულებს)

სამართალსა და მორალს შორის დამოკიდებულების შესახებ არის 3 მიდგომა:

- 1) მორალი და სამართალი აყალიბებს ერთიან მთლიანობას, სამართალი წარმოადგენს მორალის ნაწილს და მას ემსახურება
- 2) სამართალი და მორალი ერთმანეთისგან განსხვავდებიან
- 3) სამართალი და მორალი არ არის მთლიანი მაგრამ არც გამიჯნულები არიან ერთმანეთისგან.

საერთო ნიშნები:

- 1) აწესრიგებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს
- 2) მოთხოვნები შინაარსობრივად მსგავსია
- 3) მათი მოთხოვნათა დაცვა არის სავალდებულო, და არ ითვლება სიქველედ.

განმასხვავებელი ნიშნები:

- 1) მორალი ყალიბდება კულტურით, ჩვეულებებით, ტრადიციებით, სამართალი სახელმწიფოს მიერ შექმნილია
- 2) მორალური ნორმა დადგენილია პირდაპირ აკრძალვის ან მოთხოვნის ფორმით, სამართლის ნორმაში აკრძალვა და მოთხოვნა აბსტრაქტულადაა გამოხატული და მორალთან შედარებით დეტალებშია განხილული
- 3) სამართალი დინამიკურია, მორალი შედარებით სტატიკური (ცვლილებასთან დაკავშირებით)
- 4) სამართალი ყურადღებას ამახვილებს გარეგან ქცევაზე, მორალს კი აინტერესებს ადამიანის სულიერი მდგომარეობა და მოტივი.
- 5) სამართლის სანქციები ფორმალურია და იძულება სახელმწიფოს მიერ ხდება, მორალური სანქცია საზოგადოების მხრიდან ხორციელდება.

ამორალური ქცევა შეიძლება სამართალმა არ აკრძალოს. მიჩნეულია რომ მორალის ელემენტარული პრინციპები სამართალმა უნდა გაითვალისწინოს, რათა აღიარება მოიპოვოს.

მართლწესრიგი ჰეტერონომიულია, მორალი არის ავტონომიური. მორალს იზოლირებული ადამიანის სულიერი მდგომარეობაც აინტერესებს. სამართალი იცავს მხოლოდ ეთიკურ მინიმუმს. მორალი ინდეფერენტულია სამართლის მიმართ და პირიქით სამართლის ნორმების ნაწილიც ინდეფერენტულია მორალის მიმართ. (საგზაო მოძრაობის წესები, საპროცესო ნორმები და ა.შ.). მორალი შედარებით ფართო წრეს მოიცავს. მორალსა და სამართალს შორის შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი. ამ დროს სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს კონსტიტუციით დადგენილი წესები და ასევე ხალხის მოთხოვნები. მორალისა და სამართლის გარდა ასევე გვაქვს საზოგადოებრივი წესები. (სტუმარმასპინძლობა, ბინათმშენებლობის ტრადიცია, ჩაცმის სტილი, მოდა და ა.შ.)

## 6) სამართალი და სამართლიანობა

პირველი ასოციაცია რასაც იწვევს სამართალი, არის სამართლიანობა. სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება ძალიან რთული და პრობლემატურია. სამართლის მეცნიერებას მუდამ აინტერესებდა სამართლიანობის პრობლემა. იურისპუდენცია არის მეცნიერება სამართლიანობისა და უსამართლობის შესახებ - აღნიშნავდა ულპიანე. სამართლიანობა არის სიქველე, მისწრაფება სამართლის განხორციელებისაკენ. სამართალი განსაზღვრავს სამართლიანობის შინაარსს. სამართალმა მაღალ დონეს მიაღწია ძველ რომში.

იურისპუდენცია იყო რომაელების ჭეშმარიტი და საკუთარი რელიგია. იურისტები წარმოადგენდნენ „სამართლის ქურუმებს“. სამართლიანობის წინააღმდეგობრივი ბუნება კარგად ჩანს მითოლოგიაშიც (თემიდა). შეუძლებელია სამართლიანობის ზოგადი ცნების ჩამოყალიბება. სამართლიანობის საყოველთაოდ მიღებული ცნება არ არსებობს. ამავე დროს სავსებით შესაძლებელია რომელიმე ქვეყა დახასიათდეს როგორც სამართლიანი თუ უსამართლო.

სამართლიანობის ცნების განსაზღვრაში გვეხმარება მიქელანჯელოს მიდგომა. „ქვას მოვაშორე ის რაც დავითს არ ეკუთვნოდა“. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ რაარის სამართლიანი, თუ მას ჩამოვაშორებთ ყველაფერს რაც არ არის სამართლიანი. თანამედროვე დროს, როდესაც ხდება ერთიანობის განცდის და თანადგომის დეფიციტი, როცა იზრდება ეგოცენტრისტული მისწრაფებები, უფრო მნიშვნელოვანი ხდება სამართლიანობის როლი ადამიანების განვითარებაში. საერთო ფასეულობების, ერთიანობისა და სოლიდარობის პრობლემა განსაკუთრებით ჩანს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. შედეგის მისაღწევად საკმარისი არ არის მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბება, საჭიროა სამართლიანობის პრინციპები ჩანდეს რეალურ საქმიანობაში. აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ ერთი საზოგადოების წევრებს შეიძლება სხვადასხვანაირად ესმოდეთ თუ რაარის სამართალი. (დაბევერის სისტემა ზოგისთვის მისაღებია, დანარჩენებისთვის არა, ასეთივე დამოკიდებულება ჩანს ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების დაცვასთან დაკავშირებით) სამართლიანობა არის შეფასებითი კატეგორია. სამართლიანობის კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ნორმები, ნორმათა სისტემები, სამართლებრივი ინსტიტუტები. საინტერესოა რომ

ყველა ფორმალური წესების დაცვით მიღებული ნორმაც შეიძლება იყოს უსამართლო. ისტორიას ამის ბევრი მაგალითი შემორჩა. სამართლის შემფარდებელი სამართლიანობის მასშტაბს პოულობს კანონის ტექსტში. სამართლიანობა კანონმდებელსაც ბოჭავს. მან უნდა გაითვალისწინოს სუბიექტების ინტერესები, მოსალოდნელი შედეგები. კანონმდებლის გადაწყვეტილებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა და ა.შ.

ყველა ქცევა სამართლიანად თუ უსამართლოდ ვერ შეფასდება. ქცევა შეიძლება იყოს გონივრული ან არაგონივრული, მაგრამ ყველა გონივრული ქცევა ვერ იქნება სამართლიანი და ყველა არაგონივრული ქცევა ვერ იქნება უსამართლო.

სამართლიანობის განსხვავებული მასშტაბებია:

- 1) თითოეულს თავისი
- 2) თითოეულს თანაბარი
- 3) თითოეულს თავისი ბუნების მიხედვით
- 4) თითოეულს თავისი რანგის მიხედვით
- 5) თითოეულს თავისი მიღწევის მიხედვით
- 6) თითოეულს თავისი მოთხოვნილებების მიხედვით
- 7) თითოეულს თავისუფლების უმაღლესი მასშტაბით
- 8) თითოეულს კანონით კუთვნილი

სამართლიანობის ორ ძირითად სახეს განასხვავებენ:

- 1) განაწილებითი სამართლიანობა (iustitia distributiva)
- 2) გათანაბრებითი სამართლიანობა.

**განაწილებითი სამართლიანობა** მოიცავს ამა თუ იმ სიკეთის განაწილების პროცესს და მასში მონაწილე, მინიმუმ 3 სუბიექტს. (მათ შორის სახელმწიფოს) განაწილებითი სამართლიანობა დიდ როლს ასრულებს იერარქიული სტრუქტურის მქონე ურთიერთობებში. განაწილების მასშტაბი შეიძლება იყოს **თანასწორობა, შეტანილი წვლილი ან მოთხოვნილება.**

თანასწორობის მიხედვით თითოეულს უნდა მიეცეს თანაბარი წილი. შეტანილი წვლილის მიხედვით თითოეულს უნდა მიეცეს სიკეთის შექმნაში მიღებული წვლილის მიხედვით. მოთხოვნილების მიხედვით, თითოეულს უნდა მიეცეს თავისი მოთხოვნილების მიხედვით.

მათი იერარქია არ არსებობს და ჰიდან რომელიმეს შერჩევა უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის დეტალების გაცნობისას. არისტოტელეს აზრით, განაწილებითი სამართლიანობის შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს განაწილების გეომეტრიული პროპორციულობა. გასანაწილებელი სიკეთე უნდა განაწილდეს სუბიექტების მოთხოვნილებების შესაბამისად. სახელმწიფო ცდილობს სხვადასხვა სოციალური განსხვავებების გათანაბრებას. (მაგ სტუდენტებისათვის სხვადასხვა შეღავათის დადგენა)

**გათანაბრებითი სამართლიანობა** მოიცავს ურთიერთობებს რომელთაც არ აქვთ იერარქიული სტრუქტურა. იგი არ არის დამოკიდებული პირის ინდივიდუალურ შეხედულებებზე. არც ერთი მხარე არ უნდა იყოს მოგებული ან წაგებული. რთულია მასშტაბის განსაზღვრა.

პრობლემურია დადგინდეს სოციალური უთანასწორობის სამართლიანი ფარგლები, ასევე ამ უთანასწორობის გამოთანაბრების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის საზღვრები.

გათანაბრებითი სამართლიანობის შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს **არითმეტიკული** პროპორციულობა. განაწილებითი სამართალი უდევს საფუძვლად სახელმწიფო სამართალს, სასჯელის ან კომპენსაციის სამართალს. გათანაბრებითი სამართლიანობისას განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება თავისუფალ ბაზარს, რომელიც აბალანსებს მოთხოვნასა და მიწოდებას. გათანაბრებითი სამართლიანობის უნივერსალური მასშტაბი არ არსებობს - შესაძლებელია მოხლოდ აშკარა უსამართლობის აცილება. ლიბერალური სახელმწიფო არ ერევა სახელმწიფო თავისუფლების სფეროში, იგი უბრალოდ ადგენს საზღვრებს რომლებიც უნდა დაიცვან მხარეებმა.

**ფორმალური სამართლიანობა** მოითხოვს რომ ნორმა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული, იგი უნდა არეგულირებდეს განმეორებად ურთიერთობებს და მიმართული იყოს სუბიექტების განუსაზღვრელი წრისკენ. ფორმალური სამართლიანობა ახასიათებს სამართლის ნებისმიერ სისტემას, რამდენადაც სამართალს აყალიბებს სწორედ ზოგადაბსტრაქტული ნორმების ერთობლიობა.

ფორმალური სამართლიანობისგან განსხვავდება **საგნობრივი (ინდივიდუალური) სამართლიანობა**, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისებს ზოგადი სამართლებრივი წესიდან. სამართლის ნორმა სამართლიანი იქნება, თუ იგი ამავდროულად იძლევა კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას, ვინაიდან საყოველთაო, უგამონაკლისო ნორმამ შეიძლება გამოიწვიოს უსამართლობა. ინდივიდუალური სამართლიანობა, მართალია, ეწინააღმდეგება სამართლებრივ უსაფრთხოებას, თუმცა იგი გვეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. სამართლიანობის დამოუკიდებელი სახეა **სოციალური სამართლიანობა**, რომელიც ეხება მთლიანად საზოგადოების ინსტიტუციონალურ წესრიგს.

{სამართალი და თანასწორობა}

თანასწორობა რეალურ სინამდვილეში არ არსებობს - სრულიად თანასწორობის ცნება შეიძლება ჩამოყალიბდეს რეალური სინამდვილისგან აბსტრაქციების გზით. ბუნებაში არ არსებობს 2 აბსოლუტურად იდენტური მოვლენა. თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია. ნორმა აბსტრაქტულია იმიტომ, რომ იგი მოქმედებს ყველა მსგავსი და ერთგვაროვანი ურთიერთობების მიმართ. სამართალმა უნდა გადაწყვიტოს კონკრეტული შემთხვევები, რომელთაც აქვს თავიანთი, განსაკუთრებული თავისებურებები, თუმცა ამ თავისებურებებს სამართალი „ვერ ხედავს“, აბსტრაქტირებულია მისგან.

თანასწორობის პრინციპი მოდის ქრისტიანობის რელიგიიდან (ღვთის წინაშე თანასწორობა) ხოლო კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი განმანათლებლობისა და აღორძინების ხანაში ჩამოყალიბდა. კანონის წინაშე თანასწორობა გამტკიცებულია უმეტესი ქვეყნის კონსტიტუციით. ეს არის საყოველთაო და ზოგადი პრინციპი, კანონით აკრძალულია ყველა დისკრიმინაციული მოქმედება. თანასწორობის პრინციპი არის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში. გარკვეული გამონაკლისები თანასწორობის შესახებ არსებობს, არავინ დაობს იმაზე რომ უცხოელებს არ შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა. კანონით იზღუდება მხოლოდ განსაზღვრული უთანასწორობა. კანონმდებელი არ ესწრაფვის ტოტალურ თანასწორობას. პრინციპი მოითხოვს რომ საგნობრივად თანასწორი არ უნდა

განიხილებოდეს უთანასწოროდ და პირიქით, საგნობრივად თანასწორი - უთანასწოროდ. სამართალს ახასიათებს მხოლოდ **ფორმალური** თანასწორობა. **ფაქტობრივი** თანასწორობა სამართლის პრობლემაა. მოსამართლე ხელმძღვანელობს კანონმდებლის მიერ შექმნილი სამართლის მასშტაბით. შესაძლებელია გარკვეულ ურთიერთობას არ აწესრიგებდეს სამართლის ნორმა, ამიტომაც მოსამართლეს თვითონ მოუწიოს სამართლიანობის მასშტაბის განსაზღვრა.

თანასწორობა განაწილების ყველაზე მარტივი წესია, თითოეული ღებულობს თანაბარ წილს. თანასწორობის პრინციპიდან გადახვევის მართლზომიერება მოითხოვს დასაბუთებას. თანასწორი გადანაწილების სქემაში იკვეთება პარადოქსიც, ცალკეული ჯგუფების ხელშეწყობა უკვე არისუსამართლობა. ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, თუმცა კანონი არ ამბობს რომ ყველა ადამიანი თანასწორია.

{სამართლიანობის თეორიები}

განასხვავებენ სამართლიანობის **ანალიტიკურ, ემპირიულ (დესკრიფციულ) და ნორმატიულ თეორიებს.**

**ანალიტიკური** - ანალიზებს სამართლიანობის ცნების ლოგიკურ სტრუქტურასა და ლინგვისტურ შინაარსს. წმინდა ანალიტიკური თეორიები იშვიათად გვხვდება (წარმოადგენს ემპირიულის ან ნორმატიულის ნაწილს)

**ემპირიული** - ისტორიულად, სოციოლოგიურად და ფსიქოლოგიურად ანალიზებს სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებებს. (ისტორიულ მატერიალისტური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური თეორიები)

**ნორმატიული თეორია** - არამარტო აღწერს ადამიანთა ფაქტობრივ ღირებულებით წარმოდგენებს, არამედ ახდენს მათ შეფასებას. იგი ცდილობს შეიმუშაოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. მასში გამოიყოფა **პროცედურული და მატერიალური თეორიები.** მატერიალური თეორია ცდილობს გაარკვიოს რაარის სამართლიანი და უსამართლო, ეძებს მასშტაბს, რომლითაც დასაბუთდება გადაწყვეტილების სისწორე.

**ბუნებით-სამართლებრივი თეორიის მიხედვით**, სამართლიანობა არსებობს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად. ხოლო მისი აღმოჩენა ხდება შემეცნების განსაკუთრებულ პროცესში. ცალკეულ მორალურ მსჯელობებს შორის არსებული წინააღმდეგობები გამოწვეულია ადამიანის შეზღუდული შემეცნებითი შესაძლებლობებით. გონითი სამართლის თეორია მიიჩნევს, რომ მორალური შეფასება არ შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ ფაქტიდან, ამავე დროს გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია შესაძლებელია მოხდეს გონების მონაწილეობით.

**სამართლის პროცედურული თეორია** აყალიბებს სამართლიანი სამართლის დადგენის ან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წესებს და პირობებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროცედურულ წესებს, სამართლიანობა მიიღწევა პროცესის გზით. წაგებული მხარე უკმაყოფილოა, მაგრამ მაინც პატივს სცემს სასამართლოს სამართლიანობას. განასხვავებენ პროცედურული თეორიის **სახელშეკრულებო და სასამართლო მოდელს.** სახელშეკრულო ყურადღებას ამახვილებს თანასწორობაზე და გამორიცხავს იძულებას. სასამართლო მოდელისათვის მნიშვნელოვანია მხარეების ლოდინი, რომელიც დაკავშირებულია

სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებასთან. სახელშეკრულებო სამართლის მოდელის თანამედროვე ფორმაა **სამართლიანობის არგუმენტაციული თეორია**, რომლის დახმარებითაც დგება კონსესუსი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ეთიკური საკითხების რაციონალურ შემეცნებაში. სამწუხაროდ, ეს მოდელი ხშირად ტოვებს ირაციონალურ ნარჩენებს, რადგანაც შემუშავებული წესების შესრულება მხოლოდ მიახლოებითაა შესაძლებელი.

**პროცედურული თეორიის სასამართლო მოდელის თანახმად**, გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს კვალიფიციურმა მესამე მხარემ. მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს მხარეების მოსაზრებები, მისცეს მათ არგუმენტაციის თანაბარი შანსი და ა.შ.

{როულზის თეორია}

როულზმა ჩამოაყალიბა სამართლიანობის თანამედროვე, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია. მან სცადა სახელშეკრულებო თეორიათა ძირითადი დებულებების რეკონსტრუქცია, თანამედროვე თეორიების მეშვეობით. როულზი აყალიბებს ადამიანთა საწყისი მდგომარეობის ფიქციურ სიტუაციას, როდესაც ინდივიდებმა უნდა განსაზღვრონ მომავალი საზოგადოებრივი წესრიგი. რეალური ადამიანებისგან განსხვავებით ისინი პიროვნულობისგან „არცოდნის ფარდით“ არიან გამიჯნულნი. (არ იციან საკუთარი ასაკი, სოციალური მდგომარეობა, რას წარმოადგენენ...) ასეთ დროს ისინი აბსტრაქტიზებული არიან საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებებისაგან. როულზის აზრით, სწორედ ასეთ სიტუაციაში მიღებული პრინციპები იქნება სამართლიანი.

როულზის აზრით, ჰიპოთეტური საზოგადოების წევრები თანხმდებიან ორ ფუნდამენტურ პრინციპზე:

1) თითოეულს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება ძირითადი თავისუფლებების ფართო სისტემიდან.

2) სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა:

ა) უნდა ემსახურებოდეს თითოეულის კეთილდღეობას

ბ) უნდა იყოს დაკავშირებული ღია და ხელმისაწვდომ სოციალურ სტატუსთან.

პირველი პრინციპი საყოველთაო სიკეთესთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მეორე პრინციპი კი იძლევა თანასწორობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

პოლიტიკური და ეკონომიკური უთანასწორობა დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ეს განსხვავება არავის ავნებს.

როულზის კონცეფცია ინდივიდუალისტურია. სამართლიანობა გულისხმობს შანსების თანასწორობას.

{უტილიტარიზმი} | იერემია ბენტამმა და ჯონ სტიუარტ მილმა |

სამართლიანობა არის მაქსიმალურად დიდი კეთილდღეობა მაქსიმალურად ბევრი ადამიანისთვის. ამ თეორიის თანახმად, საყოველთაო კეთილდღეობას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ვიდრე ინდივიდუალურს. სამართლიანია ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება სიხარულისა და ბედნიერების გამრავლებას. ბედნიერი უნდა იყოს რაც შეიძლება დიდი საზოგადოების წრე. საზოგადოების

უმრავლესობაში შეიძლება იგულისხმებოდეს არითმეტიკული რაოდენობა ან მაღალი ხარისხის სიხარულისა და ბედნიერების მაქსიმალიზაცია. რა ანიჭებს ბედნიერებასა დასიხარულს ადამიანს ეს ცალკე განსახილველი საკითხია. უტილიტარიზმის იდეა განავითარა სამართლის ეკონომიკურმა ანალიზმა, რომელიც ნორმებს აფასებს იმის მიხედვით თუ რამდენად ფანტავს იგი საერთო-საზოგადოებრივ რესურსებს. ამის მიხედვით საუკეთესოა ის კანონი რომელის მაქსიმალურად მომჭირნედ ხარჯავს საზოგადოებრივ რესურსებს

## 7) სამართალი და ღირებულება

სამართალი არ არის ღირებულება - სამართალი მხოლოდ იურიდიულად განამტკიცებს ამა თუ იმ ღირებულებას. სამართალს განსაკუთრებული როლი ეკისრება ღირებულებათა სტაბილური წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. სხვადასხვა ღირებულებებს შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა ეროვნულ-სამართლებრივი სისტემა. უნივერსალური ღირებულებებია სოციალური თანხმობა, სამართლიანობა, თავისუფლება. სამართლის ღირებულებით საფუძვლებს საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ:

- ა) ღირებულებით აზროვნებას ეფუძნება არა ზოგადად სამართალი, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური მორალური ქცევა
- ბ) ღირებულებით აზროვნებას არ გააჩნია რაციონალური საფუძველი
- გ) სამართლის განმარტებისა და შეფასების პროცესში ღირებულებებზე მითითება იწვევს სუბიექტურ და თვითნებურ შეხედულებებს. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით მოსამართლე ემსგავსება სამართლის ფილოსოფოსს, რაც თვითნებობის რისკს ზრდის. სამართლის ნორმა, სამართლის შეფარდება ეფუძნება ღირებულებებსა და ღირებულებით შეფასებებს. შეფასებები უნდა იყოს ღია და საჯარო. უნდა გავითვალისწინოთ ღირებულებათა რელატიური ხასიათი. თვითონ ღირებულება არ შეიძლება იყოს პრობლემატური, პრობლემატურია მხოლოდ მათი განზოგადება აბსოლუტური ღირებულება არ არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას ღირებულებათა იერარქიის შესახებ. ღირებულებათა შეფასება რელატიურია. ღირებულებათა შეფასების ერთმნიშვნელოვანი სქემა არ არსებობს. ძირითადი უფლებები თანაბარღირებულია. ამა თუ იმ უფლებას შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს გარკვეულ სიტუაციაში. მატერიალური ღირებულებითი ეთიკის მიხედვით ეთიკური ღირებულება ობიექტურად წინასწარ არის მოცემული. ღირებულება არსებობს მორალური ცნობიერებისგან დამოუკიდებლად. მათი შემეცნება ხდება ღირებულებათა ჭვრეტის პროცესში, მათი შემეცნება ადამიანს ინტუიციურად შეუძლია. ღირებულება დამოკიდებული არ არის ფსიქიკურ პროცესებზე. ადამიანი შეიმეცნებს ამ ღირებულებებს იმიტომ რომ ისინი ობიექტურადაა მოცემული და იგი ამ ღირებულებითაა გარემოცული.



## 8) სამართალი და სახელმწიფო ხელისუფლება

ხელისუფლება, ფართო გაგებით, განიხილება როგორც მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას. ხელისუფლება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის იძულებითაც. მას აქვს რეპრესიული აპარატი და შეუძლია კანონის ფარგლებში განახორციელოს იძულება.

ნებისმიერი სახელმწიფო იურიდიულადაა გაფორმებული. სამართალი განსაზღვრავს სახელმწიფოს ორგანოების სტრუქტურას, უფლებამოსილებებს, ხელისუფლების განხორციელების ფორმებს. სამართალი და ხელისუფლება ხშირად განიხილება როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებები. (სიკეთე და ბოროტება), მიუხედავად ისტორიული მაგალითებისა, უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლებაც შეიძლება იყოს კარგი. ძველ პერიოდში გამოთქმული იყო მოსაზრება რომ ის, ვისაც აქვს ხელისუფლება, ქმნის სამართალს. ძლიერის სამართლის აღიარება საბოლოო ჯამში ანარქიისკენ გვიბიძგებს. საინტერესო მოსაზრებაა ისიც, რომ სამართლის ერთგვარი დანამატია ხელისუფლება. სამართალი არის იდეა და მას განხორციელება სჭირდება ნორმებში, ამ ყველაფერს კი უზრუნველყოფს ხელისუფლება. ხელისუფლების გარეშე შეიძლება იარსებოს მხოლოდ საკანონმდებლო წინადადებათა ან ძალადაკარგული ნორმამ, ამიტომაც სამართალი და ხელისუფლება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ხელისუფლება არსობის სფეროს განეკუთვნება. მანაც უნდა აგოს პასუხი რელიგიური ან მორალური ინსტანციის წინაშე.

სახელმწიფო შეზღუდული უნდა იყოს სამართლით. დიუგი განასხვავებს სახელმწიფოს შებოჭვის პოზიტიურ და ნეგატიურ ცნებებს. პოზიტიური ცნების მიხედვით უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა კანონი, რომელიც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოსცეს, ხოლო ნეგატიური ცნების მიხედვით უნდა დადგინდეს არსებობს თუ არა კანონი, რომლის გამოცემაც არ შეუძლია სახელმწიფოს. სახელმწიფოს მეშვეობით უნდა იყოს დაცული ინდივიდუალური თავისუფლება. აუცილებელია ისეთი ინსტანცია, რომელიც გააკონტროლებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას. ასეთი ინსტანცია შეიძლება იყოს მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლო. სახელმწიფო საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს იმისათვის რომ დაიცვას წესრიგი. უმრავლესობის მართველობა თუ არ იქნება შებოჭილი სამართლით, შეიძლება გარდაიქცეს ტირანიად. ხელისუფლება უნდა იყოს გამჭირვალე, კონტროლირებადი. აუცილებელია ადამიანებს მიეცეთ საშუალება განვითარდნენ სახელმწიფოს შიგნით. ამ ყველაფერში დიდ როლს თამაშობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროა. ხელისუფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების მიერ. არავის აქვს უფლება მიითვისოს მათი უფლებამოსილება. წესრიგის დაცვასაც მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ. თვითდაცვა კი მოქალაქეს მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში ეძლება. ყველა სხვა შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი

დაიცვას უსაფრთხოება და წესრიგი. წინააღმდეგონის უფლება ius resistendi სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია. კანონი მხოლოდ მაშინ არის სამართალი როდესაც შეესაბამება კონსტიტუციას. წინააღმდეგონის უფლების განმტკიცებას კონსტიტუციაში ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომელთა მოსაზრებითაც დემოკრატიულ სახელმწიფოში წინააღმდეგობა საერთოდ არ უნდა იყოს საჭირო, ან თუ დაიღვევა დემოკრატიის პრინციპები მაშინ წინააღმდეგობის უფლებაც შედეგს არ მოგვცემს. წინააღმდეგობის უფლება არის უკიდურესი საშუალება, როდესაც შეუძლებელია სხვანაირად სამართლის დაცვა. წინააღმდეგობის უფლება **სუბსიდიარია** - იგი არ დაიშვება თუ სახელმწიფოს აქვს წესრიგის დაცვის საშუალება. იგი ასევე დაიშვება **კონსერვაციის**, ანუ მართლწესრიგის დაცვისა და აღდგენის მიზნით. წინააღმდეგობის უფლებას პოლიტიკური შინაარსი აქვს. წინააღმდეგობის უფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როდესაც მართლწესრიგი უკვე აღარ ფუნქციონირებს. წინააღმდეგობის უფლება მიუთითებს, რომ კანონს არ შეიძლება ჰქონდეს სამუდამო მოქმედებისა და ხელშეუხებლობის პრეტენზია. წინააღმდეგობის უფლება არ ნიშნავს უწესრიგობას. მისი განხორციელება შეიძლება ეფუძნებოდეს მორალს ან სინდისს. ამავე დროს, სინდისიც არ არის შეუცდომელი. წინააღმდეგობის დროს პირი მოქმედებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველზე.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა სამართლის დარღვევაა, ხოლო მისი აღიარება - განვითარებული დემოკრატიის ნიშანი. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ეფუძნება მორალურ ნორმას. წინააღმდეგობისგან განსხვავებით, რომელიც უპირისპირდება უსამართლო სისტემას, იგი სახელმწიფოს ცალკეულ გადაწყვეტილებებს უპირისპირდება. ამ დროს მოქალაქეები დემონსტრაციულად გამოხატავენ პროტესტს, მათი აზრით, ეთიკურად არალეგიტიმური გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. მათი მიზანია, უკვე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა პროტესტის გამოხატვით. იგი დასაშვებია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში.

## 9) სამართალი და პოლიტიკა

პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სიტყვა პოლიტიკა შეიძლება გამოვიყენოთ უფრო ფართო ცნებითაც. (გარკვეული პოლიტიკა ოჯახში, სამსახურში) სამართალი ხშირად განიხილება როგორც პოლიტიკის პროდუქტი, თუმცა არსებობს საწინააღმდეგო აზრიც, რომლის მიხედვით სამართალი ყალიბდება პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, სამართალი გარკვეულ საზღვრებში აქცევს პოლიტიკას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ **პოლიტიკურ და იურიდიულ** აზროვნებას. პოლიტიკური აზროვნება ეფუძნება პოლიტიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტების პირად მოსაზრებებს. იგი სუბიექტურია და ცალმხრივი. იურიდიული აზროვნება კი ორიენტირებულია სამართლის წინასწარ დადგენილ ნორმებზე. იგი აბსტრაქტიზებულია პირადი პოლიტიკური შეხედულებებისაგან.

პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოს საქმიანობით. პოლიტიკა კეთდება არასახელმწიფო სფეროებშიც (პოლიტიკურ პარტიებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში) ვერც სახელმწიფოს ყველა სფეროში ვნახავთ პოლიტიკას. (სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული საქმიანობა)

საინტერესოა ურთიერთმიმართება სამართალსა და პოლიტიკას შორის. უნდა განისაზღვროს რომელია უპირატესი, ანუ რომელია პრიმატი. ბუნებითი სამართალი პოლიტიკის მიმართ სამართლის უპირობო პრიმატს აღიარებს. პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ბუნებითი სამართლის პრინციპებზე. ტოტალიტარული სისტემები ეფუძნება სამართლის მიმართ პოლიტიკის უპირობო პრიმატის იდეას. ამ შემთხვევაში სამართალი განხილულია როგორც პოლიტიკის იარაღი. პოლიტიკასა და სამართალს შორის კავშირს მთლიანად უარყოფდა ცნებათა იურისპუდენცია, რომელიც სამართლის შეფარდების პროცესიდან გამორიცხავდა ეკონომიკურ, ეთიკურ, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ მოსაზრებებს. მართალია სამართლის წმინდა თეორია არ უარყოფს გარკვეულ კავშირს პოლიტიკასა და სამართალს შორის, თუმცა იგი მოითხოვს მათ იზოლირებას ერთმანეთისგან. კელზენის აზრით, სამართლის მეცნიერება უნდა მოწყდეს პოლიტიკას.

პოლიტიკა დინამიურია, იგი ახლის დამკვიდრებას ცდილობს, ხოლო სამართალი არსებულის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. პოლიტიკასა და სამართალს შორის არის ფუნქციონალური კავშირი, ვინაიდან პოლიტიკა დამოკიდებულია სამართალზე, რადგანაც მართვა და პოლიტიკური იდეების განხორციელება მოხდება მხოლოდ სტაბილურ საზოგადოებაში, შეუძლებელია მიზნებს მიაღწიო ანარქიასა და არეულობაში.

იურისტი უნდა ცდილობდეს პოლიტიკისაგან დისტანცირებას, პოლიტიკოსი კი პირიქით. პოლიტიკასა და სამართალს შორის არსებობს ორმხრივი კავშირი. მართლწესრიგი ვერ ჩამოყალიბდება პოლიტიკისგან თავისუფალ სივრცეში. რახან გასათვალისწინებელია სოციალური სინამდვილის საკითხები და ეს საკითხები პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება, პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მართლწესრიგის ჩამოყალიბებაში. სამართლისა და პოლიტიკის გამიჯვნა რთულია და გაცილებით რთულდება როდესაც ვეხებით კონსტიტუციურ სამართალს.

კონფლიქტი პოლიტიკასა და სამართალს შორის წარმოიშობა მაშინ, როდესაც ხელისუფლება მოქცეულია განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში. თუ ეს ფარგლები ხელისუფლების სურვილზეა დამოკიდებული მაშინ პოლიტიკაც და სამართალიც „ჰარმონიულად“ ემსახურება მმართველ ფენას.

თანამედროვე იურისპუდენცია ცდილობს გარკვეულწილად გაემიჯნოს პოლიტიკურ და სხვა სოციალურ მეცნიერებებს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ რთული, კომპლექსური ინსტიტუტების შესწავლა ხშირად მოითხოვს სოციალური მეცნიერებების ერთობლივ ძალისხმევას. სამართლის თეორია არ უარყოფს სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებულ კავშირს. იკვეთება „პოლიტიკის იურიდიზაცია“ და „სამართლის პოლიტიზაცია“ სამართლის მეცნიერება იკვლევს სამართალსა და პოლიტიკას შორის კავშირებს, მათი კონფლიქტის მოგვარების გზებს და ა.შ. სხვადასხვა ქვეყანაში, ამ საკითხების შესწავლა სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. აშშ-ში სამართლის პოლიტიკურ ფუნქციებს არ იკვლევს მხოლოდ

პოლიტოლოგია ან სამართლის მეცნიერება.

#### Judicial self restraint

სამართალსა და პოლიტიკას შორის კავშირები ვლინდება სასამართლო პრაქტიკაში. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის და არც შეიძლება იყოს პოლიტიკის ორგანო, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები გარკვეულ დაღს ასვამს სახელმწიფო პოლიტიკას. პრინციპი Judicial self restraint უკრძალავს მოსამართლეს აკეთოს პოლიტიკა. ეს პრინციპი ასევე არ ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე არ ზღუდავს სახელმწიფო ორგანოებს პოლიტიკის კეთებაში, თუმცა ყველაფერი უნდა იყოს კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში. სამართალი არის ერთადერთი მასშტაბი, რომლის შესაბამისადაც სასამართლოს შეუძლია შეაფასოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართლზომიერება. კონსტიტუციური სასამართლოს შეფასების მასშტაბი შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტიტუცია. პოლიტიკური შეფასებები არ ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს. მან პატივი უნდა სცეს სახელმწიფო ორგანოების მიერ ნაწარმოებ პოლიტიკას. საკონსტიტუციო სასამართლო შებოჭილია სარჩელით. საკონსტიტუციო სასამართლო არის მართლმსაჯულებისა და არა პოლიტიკის ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი დავალებაა გაარკვიოს შეესაბამება თუ არა ნორმა კონსტიტუციას და გადაწყვეტილებით პოზიტიური გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

## 10) სამართლის მოქმედება

სამართლის მოქმედება

სამართალს აქვს მოქმედების პრეტენზია. ნორმის ადრესატი ყოველშემთხვევაში შებოჭილია სამართლით. სამართლის ნორმა ან მოქმედებს, ან აე მოქმედებს. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სამართლის ფილოსოფიისთვის საინტერესოა სამართლის მოქმედების საფუძველი. რატომ მოქმედებს იგი და რატომ აქვს მოქმედების პრეტენზია საინტერესო საკითხია. მისი სავალდებულობის აღიარება სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ზოგი მის დაცვას რელიგიის მოთხოვნას უკავშირებს, ზოგს სანქციისთვის თავის არიდება უნდა, სხვებისთვის კანონმორჩილება მორალური მოთხოვნაა. განასხვავებენ ნორმის იურიდიულ, ფაქტობრივ და ეთიკურ მოქმედებას. იგი იურიდიულად მოქმედებს თუ ნორმა დადგენილია გარკვეული წესების მიხედვით და არ არის გაუქმებული. იურიდიული მოქმედებისას ნორმა ან მოქმედებს ან არ მოქმედებს. რა თქმა უნდა, ნორმა შეიძლება ფაქტობრივად არ შესრულდეს. ფაქტობრივი მოქმედება შეიძლება გავაიგივოთ სოციალურ მოქმედებასთან. რაც შეეხება ეთიკურ მოქმედებას, იგი დაკავშირებულია მორალურ ან ფილოსოფიურ მოქმედებასთან. ეთიკური მოქმედების ასპექტში ნორმები შეიძლება იყოს მორალური, ამორალური, მორალურად ნეიტრალური. სამართლის მოქმედება განსხვავდება სამართლის ეფექტიანობისაგან. აბსოლუტურად არაეფექტიანი სამართლის სისტემა არ არსებობს.

სამართლის მოქმედების საფუძველები:

- 1) კანონი თვითონ მოითხოვს მის დაცვას (იმპერატივის თეორია)

- 2) იძულებით განხორციელება.
- 3) სავალდებულობას აღიარებს მოქალაქეთა უმეტესობა.
- 4) ცალკეული ინდივიდებისთვის კანონმორჩილება ზნეობრივი მოთხოვნაა.

იძულების თეორიის თანახმად, ნორმის მოქმედება ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლების არსებობის ფაქტს. სამართლის ნორმა იძულების გარეშე თავისთავად წინააღმდეგობა (ცეცხლი რომელიც არ წვავს)

იმპერატივის თეორიის თანახმად სამართალი არაფერია თუ არა სუვერენის ბრძანება.

აღიარების თეორიის თანახმად, მოქალაქეთა უმეტესობა სამართლის მოთხოვნას ნებაყოფლობით იცავს. სამართალი არ უნდა იყოს მხოლოდ იძულებით

განსახორციელებელი. მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა აღიარონ ის, ვინაიდან ხალხის უკმაყოფილება სამართლის ეფექტურ მოქმედებას ხელს შეუშლის. აღიარების თეორია არ გამორიცხავს იძულებს, მისთვის ასევე არაა მნიშვნელოვანი ინდივიდის მოტივაცია.

ინდივიდუალური აღიარება გულისხმობს რომ საზოგადოების ნაწილი სამართლის მოთხოვნებს იცავს შინაგანი განწყობიდან გამომდინარე. (სინდისი, მორალი...) ეს აღიარება ინდივიდუალურია. პირი შეიძლება იცავდეს სისხლის სამართლის მოთხოვნებს, მაგრამ არ ასრულებდეს გარემოს დაცვის მოთხოვნებს. ინდივიდუალური და საერთო აღიარება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და სრულყოფენ ერთმანეთს.

სამართლის მოთხოვნა შეიძლება იძულებით განხორციელდეს. ფიზიკური იძულება ახასიათებს არა ნორმას, არამედ ხელისუფლებას.

იძულება არ აყალიბებს სამართალს და ასევე არ წარმოადგენს სამართლის ძირითად ნიშანს, თუმცა მის გარეშე სამართალი ვერ იარსებებს. იძულებას ახდენს სახელმწიფო აპარატი, ორგანიზებულად და პროცედურების დაცვით. იძულების თეორიის მიხედვით, ნორმის შეუსრულებლობით დამდგარი სანქციები პირს მისი დაცვისაკენ განაწყობს. თუ ნებაყოფლობითი დაცვა არ მუშაობს, წინა პლანზე გადმოდის იძულება. კელზენი სამართალს განიხილავდა როგორც იძულების წესრიგს

## 11) სამართლის შეფარდების სტადიები

{იურიდიული სილოგიზმი}

სამართლის შეფარდება ხორციელდება სილოგიზმის ლოგიკური ოპერაციის მსგავსად.

განასხვავებენ **ზოგად და იურიდიულ სილოგიზმს**. ზოგადი სილოგიზმი გულისხმობს, რომ დასკვნა ეფუძნება ორ წინამძღვარს. ზოგადი სილოგიზმი მოიცავს სამ ელემენტს: პირველი წინამძღვარი, მეორე წინამძღვარი და დასკვნა.

სამართლის ნორმა უნდა გამოვიყენოთ განსაზღვრული ფაქტობრივი შემადგენლობის მიმართ. პირველი წინამძღვარი არის სამართლის ნორმა, მეორე წინამძღვარი არის ფაქტობრივი შემადგენლობა ხოლო დასკვნა - იურიდიული შედეგი.

იურიდიული სილოგიზმის თანახმად, სამართლის შეფარდება მოიცავს შემდეგ სტადიებს:

- 1) ფაქტის დადგენა

- 2) სამართლის სათანადო ნორმის მოძიება
- 3) იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტი ნორმაში მოცემულ ქცევის წესს
- 4) იურიდიული შედეგის განსაზღვრა.

[ფაქტის დადგენა]

შესაფასებელი ფაქტის დადგენა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მიღებული იურიდიული გადაწყვეტილების სისწორეს. ფაქტი უნდა განვასხვავოთ ფაქტობრივი შემადგენლობისგან. ფაქტი არის რეალური სინამდვილის მოვლენა, ხოლო ფაქტობრივი შემადგენლობა სინამდვილის მოვლენის ნორმატიული აღწერა. ფაქტის დადგენა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან თითოეული მხარე სუბიექტურად აღწერს თუ რა მოხდა. მნიშვნელოვან ნაწილზე ხშირად დუმიან, ხოლო უმნიშვნელო დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას, ამიტომაც იურისტი დეტალებში უნდა ჩაეძიოს იმას თუ რამოხდა სინამდვილეში. სამართლის შემფარდებელმა უნდა შეაფასოს არა ერთი არამედ რამდენიმე ფაქტი და ამ ერთობლიობიდან უნდა გამოიყოს არსებითი იურიდიული ფაქტი.

[ნორმის შერჩევა]

ნორმის შერჩევა მოითხოვს მართლწესრიგის სათანადო ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივხვდებით რომელი ნორმაა გამოსაყენებელი. ნორმის შერჩევა რთული აზრობრივი პროცესია. გარდა კანონისა, სამართლის შემფარდებელმა უნდა გამოიყენოს სამართლის სხვა წყაროებიც, ჩვეულებითი სამართალი, სასამართლო პრაქტიკა, იურიდიული დოქტრინა. ნორმის შერჩევის სირთულე გამოიხატება ნორმების სიმრავლესა და კანონმდებლობის ხშირ ცვლაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე განმარტების რომელ ხერხს გამოვიყენებთ. ნორმის შერჩევის პროცესი შეიძლება დამთვრდეს იმით, რომ კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი სათანადო ნორმა ვერ მოვიძიოთ. თუ ეს ეხება სისხლის სამართალს, ნორმის შერჩევის პროცესი შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს მაგრამ სამოქალაქო სამართალში, სხვაგვარად ხდება, შეიძლება გადაწყვეტილება მივიღოთ იურიდიული მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზეც.

[პრეზუმფცია, ფიქცია]

**პრეზუმფციის თანახმად**, ფაქტი ითვლება დადასტურებულად სანამ იგი არ იქნება უარყოფილი. პრეზუმფცია მიზნად ისახავს მტკიცების გაიოლებას. პრეზუმფცია შეიძლება ეხებოდეს:

- 1) ფაქტს
- 2) იურიდიულ შედეგს.

თუ დაქორწინებულ ქალს გაუჩნდა შვილი, ივარაუდება, რომ ბავშვის მამა არის ქალის მეუღლე. (ფაქტის პრეზუმფცია). ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (იურიდიული პრეზუმფცია). საქართველოში მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია (მე-40 მუხლი კონსტიტუცია)

ფაქტის უარყოფამდე იგი ითვლება დამტკიცებულად. პრეზუმფციის უარყოფა შეიძლება:

- 1) ფაქტის უარყოფით
- 2) პრეზუმფციის შედეგის საწინააღმდეგოს მტკიცებით.

**ფიქციის** მეშვეობით სამართალი ქმნის საკუთარ რეალობას. პრეზუმფციისგან განსხვავებით

მისი უარყოფა არ შეიძლება. ფიქცია ემსახურება სამართლებრივ უსაფრთხოებას. ფიქციისას იურიდიული შედეგები დაკავშირებულია ფაქტთან, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი შემადგენლობის ყველა ელემენტი არ არის შესრულებული ან სულ ცოტა გაურკვეველია, შესრულდა თუ არა იგი. ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვი ითვლება მემკვიდრედ, თუმცა არავინის დაიბადება თუ არა ის საერთოდ. ფიქციის მეშვეობით კანონმდებელი აყალიბებს ისეთ კონსტრუქციას, რომელიც გარკვეულწილად არ ითვალისწინებს ბუნების ან სოციალური სანამდვილის კანონზომიერებებს.

{სუბსუმფცია}

სუბსუმფციის მეშვეობით სამართლის შემფარდებელი ადგენს კავშირს ფაქტობრივ ურთიერთობასა და სამართლის ნორმას შორის. იგი 3 ელემენტს მოიცავს:

- 1) სამართლის ნორმა
- 2) ფაქტობრივი ურთიერთობა
- 3) დასკვნა.

სუბსუმფცია არკვევს თუ რამდენად ემთხვევა კონკრეტული ურთიერთობა სამართლის ნორმით დადგენილ წესს. იმისათვის რომ დადგეს იურიდიული შედეგი, კონკრეტული შემთხვევა უნდა შეესაბამებოდეს ნორმით განსაზღვრულ ფაქტობრივ შემადგენლობას.

სუბსუმფცია, ვიწრო გაგებით, ნორმატიულ წინადადებას აკავშირებს ფაქტობრივ სიტუაციასთან. მოსამართლემ უნდა მონახოს სათანადო ნორმა, „აღწეროს“ ფაქტობრივი გარემოება და დაადგინოს იურიდიული შედეგი. სუბსუმფციის ლოგიკური სქემა იძლევა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაციონალური შეფასების შესაძლებლობას.

## 12) სამართლებრივი ურთიერთობა

{ცნება}

მართლწესრიგი არის სამართლებრივი ურთიერთობების წესრიგი. სამართლებრივი ურთიერთობის თეორია მართლწესრიგს განიხილავს როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობას. იგი ჯერარსული წესრიგია. სამართლის გარდა ჯერარსულია ასევე მორალური და სოციალური სისტემები. სამართალი ამავე დროს არსული წესრიგაცაა ვინაიდან იგი არა მარტო არეგულირებს, არამედ არსებობს კიდევ.

მართლწესრიგი ერთიანია და, ამავე დროს, პლურალისტურიც. სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური და სახელისუფლებო ცენტრები და მოქმედებდეს სხვადასხვა „ნაწილი მართლწესრიგი“. დეცენტრალიზაციის გავლენით მართლწესრიგს უფრო რთული სტრუქტურა აქვს. სამართლებრივი ურთიერთობების მეცნიერულ კვლევას დიდი ისტორია აქვს. მის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ურთიერთობების სოციოლოგიამ. სამართლებრივი ურთიერთობა:

- 1) წარმოიშობა მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე
- 2) ყალიბდება მხოლოდ სამართლის სუბიექტებს შორის

3) სამართლებრივ ურთიერთობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე ნაკლები სუბიექტი.  
{სახეები}

სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება დაჯგუფდეს მონაწილე სუბიექტების რაოდენობის მიხედვით. სამართლებრივ ურთიერთობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე ნაკლები სუბიექტი. **ბიპოლარულ ურთიერთობაში** (ხელშეკრულებას ეფუძნება) მონაწილეობს 2 სუბიექტი, ხოლო **მულტიპოლარულში** (კანონს ეფუძნება) მონაწილეობს სამზე მეტი სუბიექტი.

სამართლებრივ ურთიერთობებს ახასიათებს უფლებებისა და მოვალეობების განსხვავებული სიმეტრია. ამ თვალსაზრისით, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს

**ასიმეტრიული, სიმეტრიული ან დისიმეტრიული.**

**ასიმეტრიული** სამართლებრივი ურთიერთობის დროს, ერთ-ერთი სუბიექტის ვალდებულება არ უკავშირდება მეორე სუბიექტის უფლებას. ასიმეტრიული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი მხოლოდ ვალდებულების სუბიექტია. აქ მონაწილეობს მეორე სუბიექტიც, მაგრამ მას არ აქვს მეორე სუბიექტისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. ასიმეტრიული ურთიერთობები ძირითადად გვხვდება საჯარო სამართალში.

**სიმეტრიული** სამართლებრივი ურთიერთობის დროს, ერთ-ერთ სუბიექტს გააჩნია უფლება, რომლის განხორციელების ვალდებულება აკისრიათ დანარჩენ სუბიექტებს. ისინი შეიძლება დავახასიათოთ როგორც უფლებისა და ვალდებულების სუბიექტები. გვხვდება საჯარო სამართალშიც და ასევე კერძოშიც (ცალმხრივი გარიგებები)

**დისიმეტრიულია** სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის სუბიექტებსაც აკისრიათ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის განხორციელების ვალდებულება და, ამავდროულად, გააჩნიათ უფლება, რომლის შესრულების ვალდებულებაც ეკისრება ამ უფლებამოსილ სუბიექტს. (ორმხრივად სავალდებულო გარიგებები საჯარო სამართალში)

**დეტერმინაციის ხარისხის** მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს მთლიანად დეტერმინებული (საჯარო სამართალში გვხვდება) ან ნაწილობრივ დეტერმინებული (კერძოში). თუ ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, მაშინ სახეზეა მთლიანად დეტერმინებული სამართლებრივი ურთიერთობა. ნაწილობრივ დეტერმინებული ურთიერთობის შემთხვევაში ნორმა მხოლოდ ადგენს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლებს, ხოლო მის მონაწილეებს ანიჭებს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას. მთლიანად დეტერმინებული სამართლებრივი ურთიერთობა ჰეტერონომიულად დეტერმინებულია სამართლის ნორმით, მაშინ, როდესაც ნაწილობრივ დეტერმინებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ბევრად განსაზღვრავს მხარეთა ავტონომიური ნება.

**მოქმედების** ვადის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს ერთჯერადი და განგრძობადი. ერთჯერადი ამოიწურება ქცევის ერთი აქტით, განგრძობადისთვის დამახასიათებელია ქცევის განმეორებადი აქტების არსებობა. ძირითადად გვხვდება განგრძობადი ნორმები.

{სამართლის სუბიექტი}



სამართლის ურთიერთობაში მონაწილე შეიძლება იყოს ორგანიზაცია, ორგანო, მისი სტრუქტურა, წევრები, იურიდიული ან ფიზიკური პირები. სამართლის სუბიექტი ორმაგი ბუნების მქონე ცნებაა. ერთი მხრივ, სამართლის სუბიექტი წარმოგვიდგება, როგორც მართლწესრიგის ნაწილი, მეორე მხრივ, სამართლის სუბიექტი გვევლინება როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სათანადო უფლებამოსილებით ან ვალდებულებითაა აღჭურვილი.

უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა სამართლის სუბიექტის აუცილებელი ნიშანია. უფლებაუნარიანობა დაკავშირებულია სამართლის სუბიექტურობასთან. სწორედ უფლებაუნარიანობა წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის პირობას. იურიდიული პირის როგორც ძირითადი უფლების სუბიექტის შემთხვევაში, პირველადია არა ძირითადი უფლებების სამართლის სუბიექტურობა, არამედ სამართლებრივი ურთიერთობა.

{სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობა}

სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე. მისი წარმოშობა არ არის დამოკიდებული ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან. რეალური სინამდვილის ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს ტრანსფორმირებული ჯერარსულ წესრიგში, რომ მას ჰქონდეს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის ძალა. როგორც ჯერარსული წესრიგი, მართლწესრიგი არის (სახელმწიფო) ნების გამოვლინება. სწორედ სახელმწიფოს ნება უზრუნველყოფს მართლწესრიგის ერთიანობას. სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში სამართლის ნორმა შეიძლება იყოს მონოვალენტური და პოლივალენტური. **მონოვალენტური სანსაზღვრავს** მხოლოდ ერთ, კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო **პოლივალენტური სამართლის ნორმა**, პირიქით, ადგენს რამდენიმე სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველებს.

სხვა სამართლებრივ ურთიერთობებზე ნორმის მოქმედა შეიძლება გავრცელდეს **ტრანსფორმაციის გზით**. (საერთაშორისო სამართლის ნორმების მოქმედების გავრცელება შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე.) ამავე დროს, ნორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აღნიშნული ტრანსფორმაცია, უნდა მიეკუთვნებოდეს ე.წ. „მიმღებ“ სამართლებრივ ურთიერთობას. (ანუ ურთიერთობას, რომელზეც ვრცელდება ეს მოქმედება) ძირითადი უფლებები მოიცავს მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობას, თუმცა შეიძლება გავრცელდეს კერძო პირებს შორის ურთიერთობებზეც.

### 13) სამართლის სისტემა. საჯარო და კერძო სამართალი

{სამართალი როგორც სისტემა}

ნორმათა ურთიერთკავშირს სამართლის სისტემა ეწოდება. სამართალს ახასიათებს გარეგანი (ფორმალური) და შინაგანი სისტემურობა. **გარეგან** სისტემას აყალიბებს სამართლის დარგების ერთობლიობა. ყველაზე ზოგადი სახით სამართლის სისტემა მოიცავს საჯარო და კერძო სამართალს.

**საჯარო** სამართალს განეკუთვნება საკონსტიტუციო, საგადასახადო, სისხლის, ადმინისტრაციული, საპროცესო, საერთაშორისო, საეკლესიო სამართალი.

**კერძო** სამართალს განეკუთვნება სამოქალაქო, სავაჭრო, საკორპორაციო, ფასიანი ქაღალდების, საპატენტო და საავტორო, საერთაშორისო კერძო სამართალი.

ზოგი დარგის მხოლოდ ერთისთვის მიკუთვნება რთულია. მაგ: სამეწარმეო სამართალი, შრომის სამართალი, მას-მედიის სამართალი.

სამართლის **გარეგანი სისტემა** ნორმატიული მნიშვნელობის არ არის. როგორც იურიდიული ტექნიკის ნაწილი სამართლის გარეგანი სისტემა უზრუნველყოფს იურიდიული ნორმების მოძიებას, ინფორმაციის სწრაფ დამუშავებას და სხვა.

მართლწესრიგს ახასიათებს **შინაგანი სისტემურობა**. გამოყოფენ **აქსიომატურ, აქსიოლოგიურ და ტელეოლოგიურ სისტემურობას**.

**დედუქციურ-აქსიომატური სისტემა** გულისხმობს, რომ სამართლის ყველა ნორმა გამომდინარეობს უმაღლესი აქსიომიდან. იგი მტკიცებას არ საჭიროებს და არსებობს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სამართალი აქსიომატურად გამომდინარეობს დადგენილი ნორმიდან.

**აქსიოლოგიური სისტემის** სათავეში დგას უზენაესი ღირებულება/„სამართლის იდეა“/“სამართლიანობა“. უზენაესი ღირებულების მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს როგორც ძირითად უფლებებს ისე ადამიანს.

**ტელეოლოგიურ სისტემას** აყალიბებს პოზიტიური სამართლის მიზნები. სამართალი შეიძლება ესწრაფვოდეს ერთი ან რამდენიმე მიზნის რეალიზაციას, თუმცა მისი აბსტრაქტული ხასიათის გამო რთულია მიზნებისა და ღირებულებების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

**ცნებათა სისტემა** დამახასიათებელია პოზიტიური სამართლისათვის. სამართლის მეცნიერება „მუშაობს“ ცნებების დახმარებით. ცნება სისტემური აზროვნების შედეგია. ცნების სისტემური ხასიათი იკვეთება მის სტრუქტურაში. (დანაშაულის ცნება სისხლის სამართალში მოიცავს სუბიექტურ და ობიექტურ მხარეს, მართლწინააღმდეგობას, ბრალეულობას და სხვ) {საჯარო და კერძო სამართალი}

სამართალი საჯაროდ და კერძოდ იყოფოდა ჯერ კიდევ ძველ რომში, სადაც საჯაროდ განიხილებოდა სახელმწიფოსთან დაკავშირებული სამართალი, ხოლო კერძოდ - ერთეული ინდივიდის საჭიროებისაკენ მიმართული სამართალი. აქვე აღსანიშნავია, რომ ძველ დროში სასამართლოები ძირითადად კერძო პირების დავებს განიხილავდნენ. სამართალს ძირითადად წარმოადგენდა მეფე და სწორედ მისი ნების შესაბამისად მოქმედებდა სახელმწიფო.

**ადირძინების პერიოდის** პოლიტიკურ თეორიაში უკვე მკვიდრდება შეხედულება, რომ სახელმწიფო საქმეებს უნდა ეხებოდეს სამართალი და სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მის მიერ. საფრანგეთში მოქმედებდა ადმინისტრაციული იუსტიცია, რომელიც ამოწმებდა სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის კანონიერებას. ადმინისტრაციული იუსტიციის ფორმირებამ საფუძველი ჩაუყარა საჯარო და კერძო სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნის პროცესს.

საფრანგეთის შემდეგ საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის კონცეფციამ პრაქტიკულად მოიცვა **კონტინენტური ევროპის** მთელი იურიდიული დოქტრინა, პრაქტიკა და პოზიტიური კანონმდებლობა. მე-19 საუკუნის კონტინენტური ევროპის სამართალი მკაფიოდ დაიყო საჯარო და კერძო სამართლად. ასეთ დაყოფას საფუძვლად დაედო სამართლისა და პოლიტიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და პოლიტიკურად ნეიტრალური სამართლის სისტემის ჩამოყალიბების ლიბერალური იდეოლოგია.

სამართლის ბევრი ცნება საერთოა საჯარო და კერძო სამართლისათვის. მათი დუალისზმი გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს სამართლის ცალკეულ დარგში (შრომითი სამართალი), თუმცა საჯარო და კერძო სამართალს შორის განსხვავება უნდა ვაღიაროთ იმდენად, რამდენადაც იგი დადგენილია პოზიტიური სამართლით.

**კერძო სამართალი** აღიარებს პირადი ავტონომიის პრინციპს. ადამიანი როგორც თავისუფალი არსება მოქმედებს საკუთარი პასუხისმგებლობით. ინდივიდუალური თავისუფლება თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. (საკუთრების თავისუფლება, გაერთიანების თავსუფლება და სხვა) კერძო პირს გარკვეულ ფარგლებში შეუძლია იმოქმედოს საკუთარი სურვილის შესაბამისად. კერძო ურთიერთობებში არავის ეკისრება საერთო ინტერესების განხორციელების ვალდებულება.

**საჯარო სამართალში** პირიქით მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპი. უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება არა მხარეთა ავტონომიური ნებით, არამედ დადგენილია კანონით. საჯარო სამართალში უმთავრესია კანონიერების პრინციპი. საჯარო სამართალი არეგულირებს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას. იგი არის იერარქიული, ამიტომაც მოქალაქე უნდა იყოს დაცული.

საჯარო სამართალში ადამიანის უფლებები მოქმედებს უშუალოდ, ხოლო კერძოში გაშუალებულია. ძირითად უფლებებს უფრო დიდი ყურადღება ექცევა საჯარო სამართალში.

**კერძო სამართალი** არსებითად არის **დისპოზიციური** სამართალი, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური ავტონომიის იდეას. იგი მოქმედებს სუბსიდიალურად, როდესაც მონაწილე მხარეები თავიანთი ნების შესაბამისად არეგულირებენ ამათუ იმ ურთიერთობას. ზოგიერთი კერძოსამართლებრივი ნორმა არის არა დისპოზიციური, არამედ **იმპერატიული**. იგი შეიძლება დადგინდეს:

- 1) სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნით
- 2) არაკეთილსინდისიერი მხარისაგან დაცვის მიზნით
- 3) სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი მხარის დაცვის მიზნით
- 4) უმცირესობათა ინტერესების დაცვის მიზნით
- 5) საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით.

საჯარო სამართალს ნაკლებად აინტერესებს დისპოზიციური ნიშნები, თუმცა არის გამონაკლისები. (სისხლის სამართალი იცნობს კერძო ბრალდების შემადგენლობას, როდესაც სისხლის სამართლის საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის მოთხოვნით) {გამიჯვნის თეორიები}

**ინტერესების თეორია (ულპიანე)** - საჯარო და კერძო სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ინტერესს ანიჭებს იგი უპირატესობას. იგი არ არის

გავრცელებული, რადგან საჯარო სამართლის დარგებში შემოიჭრა კერძო ინტერესები და პირიქით, კერძო სამართლის დარგებში საჯარო ინტერესები

**სუბორდინაციის თეორია** - კერძო სამართალი დამყარებულია ურთიერთთანასწორობასა და ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპზე, ხოლო საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელია დაქვემდებარება, სუბორდინაცია. აქაც გვხვდება ის შემთხვევა რომ, თანასწორობა გხვდება საჯარო სამართალშიც, ხოლო დაქვემდებარება კერძოში.

**სუბიექტის თეორია** - ამ დროს ყურადღება მახვილდება იმაზე თუ რა უფლებამოსილება აქვს სუბიექტს. საჯარო სამართლის ადრესატია სახელისუფლო უფლებამოსილებით აღჭურვილი სუბიექტი. კერძო სამართალი ეხება ყველას, ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც. საინტერესოა ასევე განსხვავება კერძო (კერძო პირები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქიო საზოგადოება) და საჯარო იურიდიულ პირებს შორის. (სახელმწიფო, თვითმმართველობა, ეკლესია, საჯარო დაწესებულებები) სუბიექტების თეორიიდან წარმოიშვა **სპეციალური სამართლის თეორია**, რომლის მიხედვითაც კერძო სამართალი არის ყველასთვის გამოსაყენებელი სამართალი, ხოლო საჯარო სამართალი ეხება მხოლოდ სახელმწიფოს. სახელმწიფომ საჯარო სამართალი მნიშვნელოვანი საკითხების დროს უნდა გამოიყენოს.

## 14) სამართლის წყარო

{ცნება}

განასხვავებენ სამართლის **სოციოლოგიურ და იურიდიულ წყაროს** ცნებებს.

**სოციოლოგიური** - ეწოდება რეალური სინამდვილის ფაქტებს, რომელთა გავლენით ყალიბდება სამართალი. ამ თვალსაზრისით, კანონი არ არის კანონმდებლის „აღმოჩენა“. კანონშემოქმედებით პროცესზე დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, ინტერესთა ჯგუფები, პარტიები, საზოგადოებრივი აზრი, პრესა... ეს მოვლენები საბოლოოდ ასახულია კანონში.

**იურიდიული** - მოიცავს პოზიტიურ კანონმდებლობას. იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას, სასამართლო პრაქტიკას, მართლშეგნებას. იურიდიული წყარო არის პრესკრიფციული და არა დესკრიფციული მოვლენა. იურიდიული წყარო ადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ მოთხოვნებს, ასეთ მოთხოვნებს, მართალია, არ ადგენს სოციოლოგიური წყარო, თუმცა მას დიდი მნიშვნელობა აქვს იურიდიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. (ვიწრო გაგებით, სამართლის წყაროდ მიჩნეულია ის ფორმები, რომლებშიც სახელმწიფო გამოხატავს სამართლებრივ ნორმება)

{ჩვეულებითი სამართალი}

ჩვეულებითი სამართალი სამართლის უძველესი წყაროა. ისტორიულად სამართალი ჩამოყალიბდა როგორც ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირად და ხალხის ისტორიულ ცნობიერებაში ყოფიერებდა. ჩვეულებითი სამართალი ეფუძნება ნორმის გამოყენების ხანგრძლივ ტრადიციასა და მის აღიარებას საზოგადოების მიერ. მისი სავალდებულობა ფაქტობრივად აღიარებულია და

ფაქტობრივად იცავენ. ჩვეულებითი სამართალი ყალიბდება არა მარტო პრიმიტიულ, არამედ განვითარებულ კულტურებშიც. იგი ჩაანაცვლა პოზიტიურმა სამართალმა. ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბების ზუსტი დრო არ ვიცით, ვინაიდან იგი ითვლება როგორც განვითარების შედეგი და არა სამართალშემოქმედების აქტი. ჩვეულება ანონიმურად ყალიბდება. შეიძლება ჩვეულებითი სამართლის ნორმის საფუძველზე შეიქმნას საკანონმდებლო ნორმა. (კომერსანტებს შორის დუმილით გარიგების დადების წესი). ჩვეულებითი სამართალი პოზიტიური სამართლის განვითარების შემდეგ არ გამოდევნილა. იგი დღესაც გამოიყენება. დიდია მისი როლი საერთაშორისო სამართალში. საქართველოში ჩვეულებითი სამართალი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი არ ეწინააღმდეგება პოზიტიურ სამართალს და საჯარო წესრიგს. ჩვეულებით სამართალს არ უკავია განსაზღვრული რანგი. კანონი და ჩვეულებითი სამართალი ერთი და იმავე რანგისაა. [სამოსამართლო სამართალი]

მართლმსაჯულება შებოჭილია კონსტიტუციით და კანონით. საქართველოს კონსტიტუციის (84-ე მუხლი) მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ძირითადი კანონი კრძალავს სამოსამართლო სამართალს როგორც სამართლის წყაროს. ამავე დროს მართლმსაჯულება უნდა იყოს ერთიანი და ეს ერთიანობის პრინციპი გვხვდება ზოგიერთ საკანონმდებლო დებულებაში. მართლწესრიგი ვერ იქნება იდეალურად სრულყოფილი, ხოლო კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობების გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელს. მოსამართლეს ხშირად უწევს ისეთი ურთიერთობების გადაწყვეტა, რომელიც არაა მოწესრიგებული სამართლის ნორმით.

სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყაროს საკითხი, სადავოა იურიდიულ ლიტერატურაში. კონტინენტურ ევროპაში მიღებულია რომ სასამართლოს არ შეუძლია განახორციელოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ხოლო ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სამართალი არის ის, რასაც ასეთად მიიჩნევენ მოსამართლე. ანგლოსაქსურ ქვეყნებში მართლმსაჯულება განიხილება როგორც კანონშემოქმედებითი პროცესი.

**სამოსამართლო სამართალი** არის სამართლის შეფარდების და არა სამართალშემოქმედების აქტი. სასამართლო გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს.

მართლმსაჯულება არის არა სამართლის **წყარო**, არამედ სამართლის **შემეცნების წყარო**.

სასამართლო პრაქტიკა ხშირად შემეცნებითი სახის, დამხმარე ფუნქციას ასრულებს.

უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვთ ფაქტობრივი ბოჭვის ძალა. საინტერესოა, რომ პრეიუდიციებს მინიჭებული აქვთ ნორმატიული ხასიათი.

სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს პრეიუდიციებს, მაგრამ უნდა დაასაბუთოს ამ გადახვევის მართლზომიერება. მართლმსაჯულების პრაქტიკა ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ შემთხვევასთან, ამიტომ, სასამართლო პრაქტიკას, მთლიანობაში, არ აქვს ისეთი მბოჭველი ძალა, როგორც კანონს. Common law-ის ქვეყნებში სამართლის შემფარდებელი მთლიანად არ არის შებოჭილი სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებებით, მას შეუძლია შეცვალოს არსებული პრაქტიკა და ჩამოაყალიბოს სამართლებრივი პრინციპი. ამ შემთხვევაში მოსამართლე არის არა მართო კანონშემფარდებელი, არამედ

სამართალშემოქმედიც. ე.წ. judge made law განიხილება როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყარო. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში პოზიტიური სამართლის და კანონის როლი უფრო იზრდება, ხოლო კონტინენტური ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს გადაწყვეტილებები. მათი როლი დიდია შრომის სამართალში, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სფეროში და სხვ.

კონტინენტური ევროპისა და ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში სამოსამართლო სამართლის განსხვავებული როლი, ძირითადად, განპირობებულია კანონმდებლობის შინაარსით. ამერიკულ კანონმდებლობას ახასიათებს რეგულირების ზუსტი და დეტალიზებული სტილი. კონტინენტურ ევროპაში კანონმდებელი ყველაფერს არეგულირებს, მაგრამ ზოგადად. კონტინენტური ევროპის სამართალი უფრო კომპაქტურია. კონტინენტური ევროპის მოსამართლე უფრო კანონის აზრთან არის მიბმული ვიდრე ტექსთან.

სამართლის ინგლისური და ამერიკული სისტემისათვის დამახასიათებელი **კაზუსტიკა** - case law ორიენტირებულია ზემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

(პრეცედენტებზე) stare decisis-ის პრინციპის თანახმად, უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, როგორც წესი, ვერ გადაუხვევს მის მიერვე დადგენილ პრეიუდიციებს. სასამართლოს შეუძლია განთავისუფლდეს ადრე მიღებული გადაწყვეტილებებისგან, (overruling) როდესაც იგი ადგენს ახალ სამოსამართლო სამართალს. განთავისუფლების სხვა საშუალებაა distinguishing, როდესაც პრეიუდიციისაგან გადახვევა დასაბუთებულია ერთეული შემთხვევის განსაკუთრებულობით.

კონტინენტური ევროპის სამართლებრივი აზროვნებია ეფუძნება არა ერთეულ შემთხვევას, არამედ ზოგად პრინციპებს. **სამართლებრივი აზროვნების ევროპული სტილი უფრო დედუქციურია ვიდრე ინდუქციური.** კონტინენტური ევროპის მოსამართლე მეტად ორიენტირებულია იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულ სისტემურ ცოდნაზე.

სამოსამართლო სამართალი არის იერარქიული. ზემდგომ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭება ქვემდგომი პრეიუდიციების მიმართ. მართალია საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების ნაწილს არ წარმოადგებს, თუმცა მისი გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოსთვისაც სავალდებულოა. ახალ პრეიუდიციებს უპირატესობა აქვთ ძველ პრეიუდიციებთან შედარებით.

პრობლემატურია ასევე სასამართლო პრაქტიკის უკუმაღის საკითხი. მართლმსაჯულება რეტროსპექტულია, ანუ მიმართულია წარსულში მომხდარი ურთიერთობისაკენ და ვრცელდება მხოლოდ ამ ურთიერთობებზე. საინტერესოა მოიცავს თუ არა სასამართლო პრაქტიკის შეცვლა ძველ ხელშეკრულებებს ან მანამდე წარმოშობილ სხვა ურთიერთობებსაც. სამართლიანი სასამართლოს უფლება გამორიცხავს სასამართლო გადაწყვეტილებებისათვის უკუმაღის მინიჭებას, რადგანაც ეს დაარღვევდა პროგნოზირებადობისა და სასამართლოსადმი მიმართვის პრინციპებს. სასამართლო პრაქტიკის შეცვლისას მსგავს პრობლემას ვაწყდებით ე.წ. საერთო სამართლის ქვეყნებშიც. ამ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებას overrulings-ს უკუმაღა? (გავრცელდეს მანამდე წარმოშობილ ურთიერთობებზეც/ retrospective overruling თუ მხოლოდ მომავალში

წარმოშობილ ურთიერთობებზე/prospective overruling)

დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატა იხრება რეტროსპექტული overruling-ისკენ. (პატიმრის მაგალითი. გვ165) მიუხედავად ამისა, გვხვდება მეორე სახის შემთხვევებსაც. (საბანკო კრედიტის გარანტიებისათვის დადგენილი ახალი მოთხოვნები). ასეთივე შემთხვევაა აშშ-ში გვხვდება ორივე სახის overruling.

სასამართლო პრაქტიკის როლი და გავლენა სულ უფრო იზრდება, მათ შორის კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც. სასამართლო პრაქტიკის ცვლილებების გავრცელება მომავალში წარმოშობილ ურთიერთობებზე იქნებოდა სასამართლოს მხრიდან საკანონმდებლო საქმიანობის უზურპაციის მცდელობა, ხოლო რეტროსპექტული overruling პრობლემას შეუქმნიდა ხელშეკრულების მხარეებს, ( გარკვეულ პირობებზე შეთანხმებულ მხარეებს შეეცვლებოდათ პირობები.)

საქმის განხილვის პროცესში მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. მოსამართლე არ არის ვალდებული თავისი გადაწყვეტილების არგუმენტაციისას აუცილებლად დაეყრდნოს სხვა სასამართლოების, მათ შორის უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

{იურისტების სამართალი}

“ იურისტების სამართალი“ ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ რომში. იგი განიხილებოდა როგორც პოზიტიური სამართლის შემადგენელი ნაწილი. სავალდებულო ძალა და გავრცელების მასშტაბი დამოკიდებული იყო კონკრეტული პირის ავტორიტეტსა და მის სოციალურ ჯგუფზე.

„იურისტების სამართალი“ ეწოდება სწავლული იურისტების ან სამართალმცოდნეთა გარკვეული ჯგუფის მიერ განვითარებული შეხედულებების ერთობლიობას. შუა საუკუნეების ევროპის უნივერსიტეტებში სწავლული იურისტების შეხედულებებს, რეცენზიებს (comunis opinion doctorum) (საყოველთაო შეხედულება მეცნიერებაში) კანონის ძალა ჰქონდა. იურისტების სამართალში არსებულ შეხედულებებს დღესაც უწევენ ანგარიშს დასავლური დემოკრატიის ქვეყნები, თუმცა მისი როლი თანამედროვე დროში საკმაოდ დაეცა. იგი უნდა განვიხილოთ როგორც რეკომენდაცია, რჩევა, რომელსაც არ აქვს ლეგიტიმაცია. იგი არ წარმოადგენს სამართლის წყაროს, ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალშემოქმედების პროცესში.)

შუასაუკუნეების ევროპაში მოსამართლე პასუხს აგებდა მისი არამართლზომიერი გადაწყვეტილების შედეგად მიღებული ზიანისათვის. მოსამართლეს შეეძლო თავისი გადაწყვეტილება comunis opinion doctorum-ით დაესაბუთებინა და ზიანის ანაზღაურებისაგან განთავისუფლებულიყო. comunis opinion doctorum ასევე გამოიყენებოდა მოსამართლეების შესაბოჭად.

იურისტების სამართლის ერთგვარი გაგრძელებაა comunis opinion iuris (გაბატონებული შეხედულება), რომელიც ყალიბდება გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილებების, კომენტარების, სტატიების, სახელმძღვანელოების გავლენით. გაბატონებულ შეხედულებას არ აქვს ნორმატიული მნიშვნელობა, მაგრამ იურისტები ხშირად იყენებენ მას პრობლემის

გადასაჭრელად. ცალკეული ავტორების აზრით, გაბატონებული შეხედულების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბოლომდე დარწმუნებულები არ ვართ ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაში.

## 15) ნორმატიული აქტი როგორც სამართლის წყარო

{ნორმატიული აქტის ცნება და სახეები}

ნორმატიული აქტი მიღებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის წესს. მას ახასიათებს ნიშნები:

- 1) მიღება შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოს
- 2) მიღება უნდა მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- 3) განსაზღვრავს შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესს.
- 4) აქვს საყოველთაო მოქმედების პრეტენზია (ადრესატია სუბიექტთა განუსაზღვრელი წრე)
- 5) ადგენს მრავალჯერად ქცევის წესს.

საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. ნორმატიული აქტებია ასევე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

**ნორმატიული აქტის რეკვიზიტები განსაზღვრულია კანონმდებლობით. მითითებული უნდა იყოს:**

- 1) ნორმატიული აქტის სახე
- 2) ნორმატიული აქტის სათაური
- 3) მიღების თარიღი და ადგილი (ცვლილებების შეტანის თარიღებიც)
- 4) ძალაში შესვლის თარიღი და აქტის ამოქმედების ვადა
- 5) უფლებამოსილი პირის ხელმოწერა
- 6) სარეგისტრაციო ნომერი და სარეგისტრაციო კოდი.

საქართველოში მოქმედებს შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, ორგანული კანონი, კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, მთავრობის დადგენილება და განკარგულება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება და ხვა.

{იერარქია საქართველოში}

საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიმართ მოქმედებს შემდეგი იერარქია:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;



გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;

დ) საქართველოს ორგანული კანონი;

ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

{კანონის ცნება}

კანონი სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. „კანონს“ მრავალგვარი მნიშვნელობა ჰქონდა - იგი აღნიშნავდა მუხლს, კრებულს, სასამართლო წიგნს ან სამართლის ძეგლს, გარკვეული ხნის მანძილზე სასჯელის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

განასხვავებენ **იურიდიულ, ბუნების და ლოგიკურ კანონებს**. ისტორიულად, პირველად ჩამოყალიბდა იურიდიული კანონის ცნება, მოგვიანებით ლოგიკური კანონის ცნება, ხოლო ბუნების მიმართ სიტყვა „კანონი“ გამოიყენა ბერძენმა ჰერაკლიტემ.

**ფილოსოფიურ ლიტერატურაში** კანონი განსაზღვრულია როგორც საგანთა და მოვლენათა შორის არსებითი, აუცილებელი, შედარებით მდგრადი კავშირების ზოგადობის ფორმა, რომელიც მათ მთლიანობას ან განვითარების გარკვეულ მიმართულებას განსაზღვრავს. ფილოსოფიური კატეგორიის ზოგიერთი ნიშანი ახასიათებს იურიდიულ კანონსაც. მაგ: სავალდებულობა, ზოგადი სახე, იძულებითი ხასიათი.

იურიდიული კანონი განსხვავდება ბუნებისა და ლოგიკის კანონებისაგან. კერძოდ, იურიდიული კანონის განხორციელების ვარიანტები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ბუნების ან მეცნიერული კანონების. მას ასევე ახასიათებს მოქმედების ფარგლებისა და რეალიზაციის პერიოდის შემცირება-გადიდების შესაძლებლობა.

განასხვავებენ კანონის **ფორმალურ და მატერიალურ გაგებას**. ფორმალური გაგებით კანონის არის მხოლოდ ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს. ხოლო მატერიალური გაგებით, კანონი არის სახელმწიფოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი.

კანონის ფორმალურ და მატერიალურ გაგებას შორის განსხვავებას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. ძირითადი უფლებების სფეროში ნებისმიერი ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კანონის ფორმით. (ფორმალური გაგებით) (173გვ უფრო დეტალურად.)

{კანონის სახეები}

საქართველოში მოქმედებს კანონის შემდეგი სახეები; კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები.

**კონსტიტუცია** - უზენაესი კანონი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა სამართლებრივი აქტი. კონსტიტუციის გარეშე სახელმწიფოს არ აქვს დასრულებული სტრუქტურა. იგი განსაზღვრავს კონკრეტულ სახელმწიფო წესრიგს, მიზანს, სამართლებრივ ჩარჩოებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, ძირითად უფლებებს. იგი ადგენს იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხელისუფლება. მას ახასიათებს **აბსტრაქციის მაღალი დონე**. იგი არ აწესრიგებს ყველა ურთიერთობას. იგი არეგულირებს მხოლოდ ფუძემდებლურ და მნიშვნელოვან

საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კონსტიტუცია ასრულებს **ინტეგრაციულ ფუნქციას**, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ერთიანობას, განსაზღვრავს სახელმწიფოს ფორმასა და საშინაო წესრიგის საფუძვლებს. მას დიდი როლი აკისრია ახალი დემოკრატიის ქვეყნებში.

**კონსტიტუციური კანონი** - მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას და კონსტიტუციის გადასინჯვისას. იგი დამოუკიდებლად ასევე ვთქვით ვერ იარსებებს ვინაიდან მიღებისთანავე ხდება კონსტიტუციის ნაწილი. კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3.

**ორგანული კანონი** - მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა, საქართველოს პარლამენტის პალატების შემადგენლობა, უფლებამოსილება და არჩევის წესი, მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები, რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან საკითხები, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება...) ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**კანონი** - მიღება შეიძლება საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე. არ შეიძლება იმ საკითხების კანონით მოწესრიგება, რომელიც წესრიგდება ორგანული კანონით. **საერთაშორისო ხელშეკრულება** - არის საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (ებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო ნორმებით. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

**კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები** - საქართველოს კანონქვემდებარე აქტებია: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის დადგენილება, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება და სხვ.

{ნორმატიული აქტის მოქმედება დროში}

ნორმატიული აქტის მოქმედება დროში განისაზღვრება მისი ძალაში შესვლისა და ძალის დაკარგვის ფარგლებით. ერთმანეთისგან განსხვავდება ნორმატიული აქტის მიღება და ძალაში შესვლა. მიღების თარიღად ითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე. ასევე სხვა ნორმატიული აქტის მიღების თარიღად ითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე. საქართველოს საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს,

თუ კანონით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. კანონის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა - „საქართველოს პარლამენტის უწყებებში.“

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

ნორმის ძალაში შესვლის თარიღი, უმეტესად, განსაზღვრულია თვითონ კანონით, თუ მითითებულია რომ იგი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, მაშინ იგი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათში.

კანონი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონი ან მისი ნაწილი შეიძლება მიღებულ იქნეს განსაზღვრული ვადით. ვადის გასვლის შემდეგ, ვადის გაგრძელება თუ არ იქნება მიღებული მაშინ კანონი ძალას დაკარგავს.

კანონი ან მისი ნაწილი ძალას დაკარგავს იმ შემთხვევაში თუ:

- 1) გავიდა ვადა, რომლითაც იგი იყო მიღებული
- 2) მიღებულია კანონი რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ძალის დაკარგვის შემდეგ, ძალას ასევე კარგავს ძალადაკარგულ კანონზე დაფუძნებული ნორმები და კანონქვემდებარე აქტები.

კანონს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი კანონით. კანონს რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.

განასხვავებენ ნამდვილ (რეტროაქტიულ) და არანამდვილ (რეტროსპექტიულ) უკუძალას.

ნამდვილი უკუძალა სახეზეა მაშინ, როდესაც კანონი ეხება წარსულში მომხდარ და უკვე წარსულშივე დასრულებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს. არანამდვილი უკუძალა ეხება თანამედროვე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებსა და ფაქტებს.

[ნორმატიული აქტის მოქმედება სივრცეში და პირთა წრის მიხედვით]

ნორმატიული აქტის ტერიტორიული მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამომცემი ორგანოს უფლებამოსილების სფერო. საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტი მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი შესასრულებლად სავალდებულოა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

პირთა წრის მიხედვით ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მყოფ უცხოელთა მიმართ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონი თანაბრად მოქმედებს ყველას მიმართ სქესის, მრწამსის, ეროვნებისა და საქმიანობის

მიუხედავად.

ექსტერიტორიულობა გულისხმობს, რომ უცხო სახელმწიფოთა ცალკეულ წარმომადგენლობასა და მისიაზე, უცხო სახელმწიფოს მეთაურებზე, სამხედრო გემებზე, სამხედრო ნაწილებზე არ ვრცელდება შიდასახელმწიფოებრივი კანონების მოქმედება.

## 16) თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები.

{კლასიფიკაცია}

თანამედროვე მსოფლიოში მოქმედი ნაციონალური სამართლებრივი სისტემები შეიძლება დაიწყოს **სამართლებრივი ოჯახების** მიხედვით. გამოყოფენ **კონტინენტურ ევროპასა (civil law) და ანგლოამერიკულ სამართლის ოჯახებს (common law)**. კონტინენტური ევროპის ოჯახი მოიცავს ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა რომაული, გერმანული და კანონიკური ტრადიციების საფუძველზე. ინგლისისა და ინგლისური სამართლის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების ნაციონალური სამართლებრივი სისტემები აყალიბებს ანგლოამერიკული სამართლის ოჯახს. კონტინენტური ევროპის სამართლის გავრცელებას ხელი შეუწყო კონოლიზაციამ და ასევე გლობალიზაციამ. კონტინენტური სამართლის სისტემაში შეიძლება გამოიყოს **რომანული** (დიდია ფრანგული სამართლის გავლენა) **და გერმანული სამართლის** (ჩამოყალიბდა გერმანულ იურიდიული მეცნიერების გავლენით) ქვეყნები.

რომანული სამართალი ჩამოყალიბდა ნაპოლეონის ეპოქის კანონმდებლობის გავლენით. რომანული სამართლის ქვეყნებია: საფრანგეთი, ბელგია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, კანადა და ა.შ.

გერმანული სამართლის ქვეყნებია: ავსტრია, შვეიცარია, თურქეთი, საბერძნეთი, საქართველო. გარკვეული თავისებურებებით იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაილანდი. გერმანული ოჯახისგან დიდ გავლენას იღებენ სკანდინავიური ქვეყნები, თუმცა ისინი აყალიბებენ სამართლის დამოუკიდებელ ოჯახს.

ანგლოამერიკულ სამართლებრივ ოჯახში გამოყოფენ ინგლისური სამართლის და ამერიკული სამართლის ქვეყნებს.

სამართლის **განსაკუთრებულ ოჯახს** აყალიბებს ისლამის, ინდუიზმისა და ბუდიზმის რელიგიური სამართალი. ამ ოჯახს განეკუთვნება ქრისტიანული რელიგიების საეკლესიო სამართალიც. რელიგიური სამართლის მოქმედება შემოიფარქლება საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალით. **ჩვეულებით ოჯახს** მიეკუთვნება აფრიკის, აზიის, ოკეანეთის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა.

{კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი}

კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იუსტინიანეს Corpus Juris Civilis-მა, განსაკუთრებით დიგესტებმა ანუ პანდექტებმა. რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ევროპაში ბატონობდა რომის ვურგალური სამართალი და გერმანული ჩვეულებითი სამართალი. მე-11 საუკუნიდან Corpus Juris Civilis-ის მოქმედება ვრცელდება ევროპაში. ბოლონიისა და პავიას უნივერსიტეტების გავლენით რომის

სამართალი ფართოდ გავრცელდა ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში. გერმანიაში რომაულ სამართალ სუბსიდიური სამართლის ადგილი ეჭირა, ხოლო საფრანგეთში იგი საერთოდ არ მოქმედებდა. ნელ-ნელა რომაულმა სამართალმა ევროპული სამართლის განვითარება დაიწყო. ევროპაში განხორციელებულმა ე.წ. **დიდმა კოდიფიკაციებმა** დააჩქარა ნაციონალური სამართლის სისტემების ფორმირების პროცესიც.

ნაპოლეონის გამარჯვებების შედეგად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მოქმედებდა გერმანიის, პოლონეთისა და იტალიის ნაწილში, ნიდერლანდებში... (მოკლედ გავრცელდა ევროპაში) გერმანიაში სამართლის კოდიფიკაცია განხორციელდა 1871 წელს მიღწეული პოლიტიკური ერთიანობის შემდეგ. გერმანიამ შემლო სისტემატიზირებული სამოქალაქო კოდექსის ჩამოყალიბება, იურიდიული ცნებების შინაარსიც კარგად იყო ჩამოყალიბებული. გერმანულმა სამოქალაქო კოდექსმა გავლენა იქონია ევროპაზე, იაპონიაზე, კორეაზე... საინტერესოა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც შედარებით მარტივი ენით იყო დაწერილი. მას გავლენა ჰქონდა ბრაზილიის, თურქეთისა და ჩინეთის სამოქალაქო კანონმდებლობებზე.

{ანგლოამერიკული სამართლის ოჯახი}

ისტორიაში შევიდა საერთო სამართლის (Common Law-ს) სახელწოდებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი ნიშან-თვისებები: აღნიშნული სამართალი არის მოსამართლეების მიერ შექმნილი სისტემა, რომლის მოქმედების ძირითად ფორმას წარმოადგენს საქმეთა განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები\_სასამართლო პრეცედენტები. შესაბამისად, იგი მოქმედებს კონკრეტული შემთხვევის, კაზუსის ფაქტობრივი შემადგენლობის გათვალისწინებით. საერთო სამართლის ნორმები კონკრეტული ხასიათის ნორმებია, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან რომანულ-გერმანული სამართლის ნორმებისაგან. მას მიეკუთვნებიან დიდი ბრიტანეთის დომინიონი და იმპერიის ყოფილი კოლონიების სამართალი, ასევე აშშ-ს სამართალი.

ზოგადი წესის თანახმად, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნების მოსამართლე საქმეთა განხილვისას ვალდებულია გაარკვიოს, იყო თუ არა ანალოგიური საქმე განხილული სასამართლოს მიერ და დადებითი პასუხის შემთხვევაში, იხელმძღვანელოს უკვე არსებული მაგალითით. მოსამართლე მნიშვნელოვანი ფიგურაა. იგი პრაქტიკოსი იურისტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია აზროვნების სამოსამართლო სტილი. ანგლო-საქსონური იურისტის აზროვნება ინდუქციურია ანუ იგი მიმართულია კონკრეტულიდან ზოგადისაკენ და კონკრეტული შემთხვევიდან აყალიბებს ზოგად პრინციპს.

საერთო სამართლის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იგი მუდმივ განახლებადია, რადგან მოსამართლეები უზრუნველყოფენ ქვეყნის შეცვლილ საზოგადოებრივ გარემოებებთან სამართლის სინქრონიზაციას, მაშინ როცა კონტინენტური ევროპის მართლმსაჯელება, იმდენად დაქუცმაცებულია, რომ მოსამართლე საკუთარ თავზე ვერ იღებს სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფუნქციას.

ანგლო-ამერიკული სამართალი აერთიანებს ორ მნიშვნელოვან სამართლებრივ ოჯახს.

ესენია: ანგლოსაქსონური და აშშ-ის სამართალი. პირველი მათგანი გახლდათ ის სამართალი, რომელმაც დიდი ბრიტანეთის კუნძულზე საკუთარი ისტორია შექმნა. მოცემული

სამართლებრივი ოჯახის ყველაზე კლასიკური წარმომადგენელია დიდი ბრიტანეთი. ამ ქვეყანაში, დამოუკიდებელ სასამართლო სისტემასთან ერთად, გამოიყენება პოზიტიური კანონმდებლობა, თუმცა, აღნიშნულ ნორმებს გააჩნიათ კაზუსტური ხასიათი ანუ ისინი გამომდინარეობენ კონკრეტული საქმის შინაარსიდან. სამართალშემოქმედ და სამართალშემფარდებელ ორგანოებს წარმოადგენენ ლონდონის ცენტრალური და ადგილობრივი სასამართლოები. ამ სისტემის თანამედროვეობას განაპირობებს საკანონმდებლო რეფორმები, რომელთაც 1965 წლიდან აქტიურად 2 განიხილავს Law Commission. ამერიკის შეერთებულ შტატებში გვხვდება ანალოგიური სამართლებრივი სისტემა, თუმცა გარკვეული სახეცვლილებებით. ამ თავისებურებას განაპირობებს ქვეყნის ფედერალური ორგანიზაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ადგილობრივ სასამართლოს წარმოადგენს შტატის სასამართლო, რომელშიც ფუნქციონირებს საკანონმდებლო კრება და სამსაფეხუროვანი სასამართლო სისტემა. შტატებს მინიჭებული აქვთ ფართო კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება. იგი სასამართლო პრეცედენტის გათვალისწინებით დამოუკიდებლად წყვეტს მის ტერიტორიულ და ნივთობრივ განსჯადობას დაქვემდებარებულ საკითხებს. მოსამართლეთა თვითნებობის აღკვეთას და სამართლიანობის პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს ფედერალური სასამართლო სისტემა, კონსტიტუცია და კონგრესის კანონი. ანგლო-ამერიკული სამართალი მოქნილია, მუდმივ განახლებადი და კონკრეტულია. სამართლის დანიშნულებაც ხომ სწორედ ეს არის. იგი ცოცხალი ორგანიზმი უნდა იყოს და არა მოძველებული სამუზეუმო ექსპონატი.

{განსხვავებებიდამსგავსებები}

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პოზიტიური კანონმდებლობა სამართლის ძირითადი წყაროა. ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში სამართლის უმთავრესი წყაროა სასამართლო პრეცედენტი. კონტინენტურში პრეიუდიციებს არ აქვთ მხოჭველი ძალა, ხოლო ანგლოამერიკულში აქვთ. არის გარკვეული მსგავსებები. ანგლოამერიკული სამართალი აღარ არის წმინდა პრეცედენტული სამართლის სისტემა, ვინაიდან არსებობს პოზიტიური კანონმდებლობა რომელიც არეგულირებს გარკვეულ სამართლის დარგებს. კონტინენტურ ევროპასა და ანგლოამერიკულ ოჯახს შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი განსხვავებაც საინტერესოა. ეს ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს, საკუთარი უფლებების სასამართლოში დაცვა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში უფრო „იაფია“ ვიდრე ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში. უმთავრესი განსხვავება ეფუძნება იურიდიული აზროვნების წესსა და მეთოდებს. ანგლოამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყნებში შეცვლილ საზოგადოებრივ გარემოებებთან სამართლის სინქრონიზაციას, ტრადიციულად, მოსამართლეები ახორციელებდნენ. ევროპის ქვეყნებში სამართლის სისტემის ერთიანობის მიღწევის ერთადერთი საშუალება იყო კოდიფიკაცია. კონტინენტური ევროპის იურიდიულ აზროვნებას ახასიათებს მეცნიერული სტილი, ხოლო ანგლოამერიკულში - აზროვნების სასამართლო სტილი. კონტინენტური ევროპის სამართლის იურიდიული აზროვნების წესი დედუქციურია - მიმართულია ზოგადიდან

კონკრეტული სკენ. ანგლოსაქსური იურისტის აზროვნება ინდუქციურია - მიმართულია კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

სამართლის კონტინენტურ და ანგლოამერიკულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება ნელ-ნელა ქრება. ერთმანეთის ელემენტების მიღებით ისინი იძენენ გარკვეულ მსგავსებებს.

## 17) ანალოგია სამართალში

{ხარვეზი კანონმდებლობაში}

როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული რეგულირებული სამართლის არც ერთ ნორმაში, ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. თუ სამართლის შემფარდებელი, სამართლის განმარტების ხერხების გამოყენების მიუხედავად, ვერ პოულობს კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას, მან უნდა გამოიყენოს ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა.

ანალოგიის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა საკანონმდებლო ხარვეზის შევსება. მაგრამ კანონმდებლობა გარკვეულწილად ჩამორჩება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ტემპებს.

მოსამართლე ვალდებულია საკითხი გადაწყვიტოს იმ შემთხვევაშიც როდესაც არ არსებობს კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი. (თუ ნორმა არ არის გამოიყენება კანონის ანალოგია, თუ ეგეც არ არის მაშინ სამართლის ანალოგია) ანალოგიით არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები.

თუ მსგავსი ურთიერთობის გადაწყვეტა ხდება ერთეული ნორმიდან გამომდინარე, მაშინ სახეზეა **კანონის ანალოგია**, ხოლო თუ ერთდროულად რამდენიმე ნორმიდან ან სამართლის სისტემიდან, მაშინ - **სამართლის ანალოგია**.

არ დაიშვება ანალოგია თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ერევა ადამიანის უფლებებში. უფლებებში ჩარევა მოითხოვს კანონის ფორმას და შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე.

სისხლის სამართალში ანალოგია ბრალდებულის საზიანოდ არ დაიშვება. მოსამართლე არაა უფლებამოსილი ანალოგიის გზით შეავსოს **ხარვეზი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. სისხლის სამართალში ანალოგია დაიშვება მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ.**

კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის შევსების წესი განსხვავებულია სხვადასხვა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს არ აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია. გერმანული სამართალი არ ადგენს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გადაწყვეტის წესს. შვეიცარიის კანონმდებლობით უნდა იყოს გამოყენებული მსგავსი ურთიერთობების გადაწყვეტის წესი, უკიდურეს შემთხვევაში კი ბუნებითი სამართლის პრინციპებზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

ანალოგია უნდა განვასხვავოთ იურიდიული სილოგიზმისგან. იურიდიული სილოგიზმის

დროს ფაქტობრივი ურთიერთობა ემთხვევა ნორმაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს. იურიდიული სილოგიზმის დროს შესაძლებელია ნორმის უშუალოდ გამოყენება. მსგავსი იდენტურობა სამართლის ანალოგიას არ ახასიათებს. ანალოგიის დროს კონკრეტული შემთხვევა და ნორმით განსაზღვრული ურთიერთობა ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ არა იდენტური.

{ანალოგიის წინაპირობები}

სამართლის შემფარდებელმა უნდა დაადგინოს საკანონმდებლო ხარვესის არსებობის ფაქტი. ხარვეზი სახეზეა მაშინ, როდესაც არ გვაქვს ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა. **სამართლის ანალოგია არ დაიშვება, თუ არსებობს ნორმის უშუალო, პირდაპირი შეფარდების შესაძლებლობა.**

საკანონმდებლო ხარვეზი შეიძლება იყოს **ღია ან დაფარული**. ღია ხარვეზის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ნორმის გამოცემის მომენტში კანონმდებელს არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ის სიტუაცია, რომელიც დადგა სოციალური ურთიერთობების განვითარების შედეგად, ან კანონმდებელს უბრალოდ „გამორჩა“ ამ საკითხის მოწესრიგება. ასეთი საკითხების რეგულირებას კანონმდებელი მიანდობს სასამართლო პრაქტიკას. ხშირად ეს ხდება იმიტომ რომ კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებს ტექნიკურ სიახლეებს.

(მაგალითად არის თუ არა კომპიუტერული პროგრამა ნივთი?)

ფარული ხარვეზი კანონმდებლისთვის ცნობილია, მაგრამ იგი შეგნებულად არ ასწორებს ამ ხარვეზს. ფარულ ხარვეზს ხშირად უწოდებენ კანონის წინასწარ გამიზნულ არასრულყოფილებას (კვალიფიციური დუმილი) ამ შემთხვევაში არ შეიძლება გამოვიყენოთ კანონის ანალოგია. სამართლის შემფარდებელი არაა უფლებამოსილი იმოქმედოს კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ.

ღია ხარვეზის შევსება ხდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- 1) უნდა გაირკვეს არის თუ არა ფარული ხარვეზის სახე.
- 2) ანალოგია უნდა განხორციელდეს მართლწესრიგთან მჭიდრო კავშირში და მართლწესრიგის ერთიან სისტემაში.
- 3) ანალოგია არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მოსაზრებებს
- 4) კანონით მოწესრიგებული და კანონით მოუწესრიგებელი ურთიერთობები უნდა იყოს მსგავსი და იძლეოდეს ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობას.

ანალოგია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული საკითხი ვერ წყდება სამართლის ნორმის განმარტების გზით.

ანალოგია მოითხოვს განსაკუთრებულ არგუმენტაციას. ანალოგია უნდა განხორციელდეს ნორმის მიზნის ღირებულებითი შეფასების საფუძველზე. რომლის დროსაც სამართლის შემფარდებელმა თვითნებურად არ უნდა იმოქმედოს. ანალოგიის პროცესში სამართლის შემფარდებელი ერთმანეთს ადარებს ურთიერთობას, რომელიც კანონით არაა რეგულირებული და, ურთიერთობას რომელიც კანონით რეგულირებულია. მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, თუ სავარაუდოდ როგორ შეაფასებდა კანონმდებელი იურიდიულად მოუწესრიგებელ ურთიერთობას.



**ანალოგია არ ნიშნავს ახალი ნორმის დადგენას.**

ანალოგიის დროს მოდავე მხარე, ჩვეულებრივ, უარყოფს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის ფაქტს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ საქმე ეხება კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს (რაც გამორიცხავს ყოველგვარ იურიდიულ შედეგს). მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს საქმე *argumentum per analogiam/argumentum e contrario* მეთოდების საფუძველზე.

{*argumentum e contrario*}

სამართლის ნორმა მოქმედებს ურთიერთობათა განსაზღვრული წრის მიმართ.